ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

12 მარტიდან

3ფ[ფქბ სფჯ,ფ4+

,ბჯკჯუბფ

* კფჰბ



cfvif,fsb7 !# vfhnb7 @)!@ 161 (5751) afcb5 #) stshb

# ქართული ოცნების“ აქტივისტების დატერორება დაიწყო

თინა ხიდაშელი: „ველოდები ნათია მოგელაძის ისტერიკებს“





გვ. 3

## მიხეილ სააკაშვილი: პუტინს კახეთში შევხვდები“ გვ. 4



სიღნაღის რეაბილიტაცია ადეიშვილის დამსახურებაა



## ქართუ ბანკს“ ხელისუფლებამ კიდევ გვ. 3 ერთი მილიონი აახია“



## სახალხო კრების“ აღმასრულებელი გვ. 5 საბჭოს განცხადება

## მაჭავარიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური გვ. 4 მდივანი გახდა

მიშა მაგარია!!!

## ნინო ბურჯანაძე: მზად ვარ, საერთო მიზნისთვის პირადი ამბიციები გვერდზე გადავდო“ გვ. 2



გამოკითხულთა 28,9%-ს მიაჩნია, რომ პუტინის გაპრეზიდენტება საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე ნეგატიურად აისახება გვ.7

3ფ[ფქბ სფჯ,ფ4+

გფუფჯბკ

* კფჰბ

&3ფჰნბლფჟ






## პროფკავშირებსა და გვ. 6 მთავრობას შორის სკანდალი მომწიფდა

ISSN 1987-9385

2 ნინო კალანდაძე: ჯარის მონასტრის გამოსყიდვაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს“

6 შსს-მ და პროკურატურამ ყინწვისის სპეცოპერაციის კვალი წაშალა

7 ნანა დევდარიანი: პოლიტიკური ძალები ივანიშვილმაც ჩარეცხა“

10 რატომ გააუქმა სააკაშვილმა რუსეთთან სავიზო რეჟიმი

# ნინო კალანდაძე: „ჯვრის მონასტრის გამოსყიდვაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს"

ნათია ხურცილავა

როგორც გაირკვა, ქართულ და თურქულ მხარეებს შორის აზიზიეს მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით ხელმოსაწერად გამზადებული დოკუმენტი არ არსებობს. ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, მოლაპარაკებები ჯერ მიმდინარეობის პროცესშია და ამიტომ არ არსებობს არც ხელმოწერილი დოკუმენტი და არც მზა დოკუმენტი, რომელსაც მხარეები ხელს მოაწერენ.

– არც ხელმოწერილი დოკუმენტი არსებობს და არც მზა დოკუმენტი, რომელიც უკვე ხელმოსაწერად მზად იქნებოდა. ჯერ კიდევ მიმდინარეობს უწყებათაშორისი მოლაპარაკება ორ სახელმწიფოს შორის. – განაცხადა ნინო კალანდაძემ.

რაც შეეხება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საკითხს, რომლის დაბრუნების შესახებ მოლაპარაკებებზე განცხადება გააკეთა პრეზიდენტმა, გაირკვა, რომ პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე აღნიშნულ საკითხს ისრაელში ვიზიტისას ოფიციალურად დასვამს. კალანდაძის თქმით, დავით ბაქრაძე ისრაელში ვიზიტისას, თავის კოლეგასთან შეხვედრისას იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საკითხს ოფიციალურად დასვამს. რაც შეეხება ზოგადად მოლაპარაკებების პროცესს, ნინო კალანდაძის განმარტებით, მიმდინარეობს მუშაობა უწყებათაშორის დონეზე.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ იერუსალიმის ჯვრის ქართული მონასტრის დაბრუნებაზე, გამოსყიდვაზე სპეციალურად შექმნილი ჯგუფი მუშაობს.

სააკაშვილის განცხადებით, ამ საკითხში ისრაელში საქართველოს საელჩოც არის ჩართული და დავალებული აქვს, ისრაელის მთავრობასთან მჭიდრო კონტაქტები ჰქონდეს. საგარეო საქმეთა სამინისტროში აფხაზეთში ჩატარებული არჩევნები შეაფასეს.

– აფხაზეთში ჩატარებული ე.წ. საპარლამენტო არჩევნები ასობით ათასი ადამიანის ეთნიკური წმენდის დაფარვის მორიგ წარუმატებელ მცდელობას წარმოადგენს. – განაცხადეს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

– უკანასკნელი 20 წლის მანძილზე რუსეთის საოკუპაციო ძალებისა და მათი მარიონეტული რეჟიმების მიერ ჩადენილმა დანაშაულმა ძირეულად შეცვალა დემოგრაფიული მდგომარეობა როგორც აფხაზეთის, ასევე ცხინვალის რეგიონში. საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან გამოდევნილ პირებს წაერთვა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების უფლება, ხოლო რეგიონებში დარჩენილი მცირერიცხოვანი მოსახლეობის უფლებები ყოველდღიურად ირღვევა საოკუპაციო რეჟიმების მიერ. საერთაშორისო დამკვირვებლებს, მათ შორის ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს, არ ეძლევათ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შესვლისა და ადამიანის უფლებათა მძიმე ვითარების ასახვის შესაძლებლობა. – აცხადებენ საქართველოს საგარეო უწყებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, ჯეროვნად შეაფასოს აფხაზეთის რეგიონში რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ დადგმული ფარსი და განაგრძოს რუსეთზე ზეწოლა, რათა მან შეასრულოს დაკისრებული საერთაშორისო ვალდებულებები, მათ შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები.

საგარეო უწყების ინფორმაციით, საქართველოს 12–14 მარტს ევროკავშირის მისიის ექსპერტთა შემადგენლობა ეწვევა. მისიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული ვიზალიბარალიზაციისა და რეადმისიის შეთანხმების იმპლემენტაციის საკითხი.



ნინო კალანდაძე

სწორედ ევროკავშირის ამ ექსპერტთა ჯგუფის შეფასებებზე იქნება დამოკიდებული, 2012 წლის ზაფხულამდე სქართველოსთან ვიზალიბერალიზაციაზე დიალოგი გაიმართება თუ არა. ბრიუსელში რა შეფასებებს გააკეთებენ ევროკავშირელი ექსპერტები? ამაზე იქნება დამოკიდებული საქართველოს შემდეგი ნაბიჯი ევროკავშირის მიმართულებით.

– ჩვენ მივიჩნევთ, რომ საკმარისად პროგრესული საქმიანობა ვაწარმოეთ იმისთვის, რომ პოზიტიური შეფასება მივიღოთ. ყველა დონეზე მზად ვართ, რომ სრული და ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდოთ მათ. მათ შორის ჩვენი წარმატებების შესახებაც, რომელიც საკმაოდ მოკლე დროში განხორციელდა, რომ მიზანი რაც შეიძლება საკმაოდ მოკლე დროში იქნეს მიღწეული. – განაცხადა კალანდაძემ.

საქართველოს საგარეო უწყების ინფორმაციით 15 მარტს საქართველოს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გვიდო ვესტერველე ოფიციალური ვიზიტით ეწვევა.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი უმაღლესი დონის შეხვედრებს გამართავს საქართველოს პრეზიდენტთან, თავის ქართველ კოლეგასთან გრიგოლ ვაშაძესთან.

ვიზიტი რეგიონალური ხასითის არის, თუმცა საქართველოსა და გერმანიას შორის 20– წლიანი დიპლომატიური ურთიერთობის წლისთავზე საგარეო უწყება აღნიშნულ ვიზიტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

– მიმდინარე წელს მთელი რიგი გამოწვევები დგას ჩვენ წინაშე, რომლის თაობაზეც აუცილებელი იქნება, რომ გერმანიის ფედერალურ მინისტრს წარედგინოს ჩვენი ხედვა და მოვისმინოთ მისი მხარდამჭერი განცხადებები და შეფასებები. – აღნიშნა კალნადაძემ.

კალანდაძემ კომენტარი გააკეთა ამერიკის განცხადებაზე, საქართველოს ნარკოტრანზიტულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

– ოკუპირებული ტერიტორიები, სამწუხაროდ, უკონტროლო ტერიტორიებს წარმოადგენენ, რომელიც ამ მიმართულებით განსაკუთრებით სენსიტიურია. ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების დაცვა არ არსებობს, რადგან ის უკონტროლოა, ამიტომ იქ საერთაშორისო საპოლიციო ძალები უნდა განთავსდეს. ეს საკითხი ჟენევის მოლაპარაკებებზე ჩვენ მიერ არის დაყენებული. – აღნიშნა კალანდაძემ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით მარიამ მახნიაშვილის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით კანადაში საქართველოს საელჩო ჩართულია.

საბერძნეთში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც არასრულწლოვანის გარდაცვლებას უკავშირდება, ასევე საქართველოს საელჩო საბერძნეთში მისი კომპეტენციის ფარგლებში არის ჩართული.

# ნინო ბურჯანაძე: მზად ვარ, საერთო მიზნისთვის პირადი ამბიციები გვერდზე გადავდო"

ნათია ხურცილავა

ბიძინა ივანიშვილისა თუ „ქართული ოცნების" განცხადებას მორიგ გამინუსებასთან დაკავშირებით ნინო ბურჯანაძემ ასე უპასუხა: „ჩემ გარეშე სახალხო კრება ვერ წარმომიდგენია", როგორც ჩანს, ვერც „სახალხო კრებას", რადგან კრების წევრები ბრძოლის გაგრძელებას, როგორც თავად აცხადებენ, სწორედ ბურჯანაძესთან ერთად აპირებენ.

„სახალხო კრება" ოპოზიციურ პარტიებს და პირველ რიგში „ქართულ ოცნებას" ხელისუფლების შესაცვლელად გაერთიანებას სთავაზობს. აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა ოფიციალური განცხადება გააკეთეს.

– „სახალხო კრება", როგორც ეროვნულ და დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებული ზეპარტიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანიც ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სისტემური ცვლილებების მიღწევა და თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების მოპოვებაა, მიმართავს ყველა ოპოზიციურ ძალას, პირველ რიგში „ქართულ ოცნებას", რომლის პოლიტიკურ არენაზე გამოჩენას დიდი იმედით შეხვდა ქართველი საზოგადოება, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რიგით მოქალაქეებს, გავერთიანდეთ ქვეყნის დამნაშავე ხელისუფლებისგან გასათავისუფლებლად და ქვეყნის გადასარჩენად. – ნათქვამია განცხადებაში, რომელიც ნონა გაფრინდაშვილმა გააცნო ჟურნალისტებს. „სახალხო კრების" წევრებმა ასევე აღნიშნეს, რომ ერთიანი ოპოზიციური ფრონტის მთავარი მიზანი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხელისუფლების დამარცხება და კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვება უნდა იყოს, რის შემდეგაც 6 თვის ვადაში ახალი საპარლამენტო არჩევნები უნდა გამოცხადდეს.

– ვადამდელი არჩევნების დანიშვნამდე კი უნდა გატარდეს ყველა საჭირო საკანონმდებლო და პოლიტიკური ცვლილება საარჩევნო გარემოს რეალური გაუმჯობესებისა და კონკურენტული გარემოს შექმნისთვის. ესენია პოლიციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის დეპოლიტიზაცია და ჩამოშორება საარჩევნო პროცესისგან, სასამართლოს დამოუკიდებლობა, ბიზნესის გათავისუფლება ხელისუფლების ზეწოლისგან, ცვლილებები ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფორმირებასა და საარჩევნო კანონმდებლობაში, მოსახლეობის აღწერა და რეალური საარჩევნო სიების ჩამოყალიბება, მედიის გათავისუფლება ზეწოლისა და ტერორისგან და პოლიტიკური და უკანონო პატიმრების უპირობო გათავისუფლება. – განაცხადა ნონა გაფრინდაშვილმა.

– „სახალხო კრება" ჩემ გარეშე ვერ წარმომიდგენია" – განუცხადა ჟურნალისტებს „დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა, ნინო ბურჯანაძემ. ამ სიტყვებით ნინო ბურჯანაძე „ქართული ოცნების" იმ განცხადებას გამოეხმაურა, რომლითაც კოალიცია „სახალხო კრებასთან" თანამშრომლობისთვის მზად არის, თუმცა ნინო ბურჯანაძის გარეშე.

ბურჯანაძის განმარტებით, ის მიესალმება, რომ მიუხედავად „სახალხო კრების" წევრებზე „შემოტევებისა," კრების დაშლა მაინც ვერავინ შეძლო.

**ნინო ბურჯანაძე:**

– ჩვენ მზად ვართ, იმ საერთო საქმისთვის, რასაც ქვეყნის გადარჩენა ჰქვია, დამნაშავე რეჟიმისგან და რასაც ჰქვია მართლაც თავისუფალი არჩევნების ჩატარების მოპოვება, ამ საერთო ამოცანისთვის ვადასტურებთ მზაობას, რომ პირადი ამბიცია გადავდოთ გვერდით იმ მიზნით, რომ შედგეს ერთიანი ფრონტი. ხოლო როდესაც მოვიპოვებთ თავისუფალი არჩევნების კონკურენტულ გარემოში ჩატარების შესაძლებლობას, რა თქმა უნდა, მივიღებთ მონაწილეობას დამოუკიდებლად ან ერთად, როგორც ეს შესაძლებელი იქნება.



ნინო ბურჯანაძე

**თემურ შაშიაშვილი:**

– საქართველოში ყოველგვარი მინუსებით საუბარი უნდა დამთავრდეს. მინუსებით საუბარი სისუსტეა. ჩვენ პლუსებზე ვსაუბრობთ. საქართველოს მომავალი არის პლუს ყველა ერთად. უფრო დიდი მომავალი არის მთელ შემადგენლობას პლუს მეფე. რაც შეეხება ოპოზიციური პარტიებისადმი, მათ შორის „ქართული ოცნებისადმი" გაერთიანების შესახებ „სახალხო კრების" მოწოდებას, ბურჯანაძის განმარტებით, ის ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შექმნას გულისხმობს, რომლის ამოცანაც დემოკრატიული გარემოს შექმნა, ხელისუფლების დამარცხება და უკვე 6 თვის შემდეგ ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება იქნება.

– უკვე ახალ არჩევნებში პოლიტიკური სიმპათიებისა თუ ანტიპათიების მიხედვით დალაგდებიან პოლტიკური ძალები. ჩვენ პირად ამბიციებზე მაღლა ვდგებით იმისთვის, რომ მოხდეს საქართველოში ოპოზიციური ფრონტის გაერთიანება დამნაშავე ხელისუფლების წინააღმდეგ. – განაცხადა ბურჯანაძემ.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, „დემოკრატიული მოძრაობა" და „სახალხო კრება" არჩევნების წინააღმდეგი არასდროს ყოფილა და პირიქით, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის მზად არიან, ყველა ცივილიზებულ მეთოდს და სხვა შემთხვევაში, აქციებსაც კი მიმართონ. „სახალხო კრების" წარმომადგენელ ირაკლი ბათიაშვილის შეფასებით, ნინო ბურჯანაძესთან თანამშრომლობასთან „ქართული ოცნების" კრიტიკული დამოკიდებულება არც პოლიტიკურ და არც ზნეობრივ ჩარჩოებში არ ჯდება.

– პირობებს, რომელიც არანაირი პოლიტიკისა და ზნეობის ჩარჩოებში არ ჯდება, ჩვენ ვერ მივიღებთ. ეს არ არის ნორმალური. ნინო ბურჯანაძე „სახალხო კრების" აღმასრულებელი საბჭოს წევრია. მას კრების საქმიანობაში უზარმაზარი წვლილი აქვს შეტანილი, ისევე როგორ – ნონა გაფრინდაშვილს, რეზო ესაძეს და სხვებს. ასე საკითხის დაყენება განსაცვიფრებელია. ასეთი პირობების დაყენება არასერიოზულია. – განუცხადა ირაკლი ბათიაშვილმა.

ბათიაშვილის განმარტებით, ხელისუფლების შესაცვლელად მთელი საზოგადოებისა და პოლიტიკური სპექტრის კონსოლიდაციაა აუცილებელი.

## ერთობა სამართლიანობისთვის" პარლამენტში ლევან ბეჟაშვილს იბარებს

ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის" პარლამენტში კონტროლის პალატის თავმჯდომარეს ლევან ბეჟაშვილს იბარებს.

როგორც ჟურნალისტებს ფრაქციის მდივანმა გია ცაგარეიშვილმა განუცხადა, ბეჟაშვილს 20 მარტს ფრაქციის სხდომაზე მიწვევის შესახებ ოფიციალურ შეტყობინებას ხვალ გაუგზავნიან.



ლევან ბეჟაშვილი

ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის" ლევან ბეჟაშვილს პარლამენტში რეგლამენტის 96-ე მუხლის საფუძველზე იბარებს და მასთან საუბარს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" კანონთან დაკავშირებით აპირებს.

„იმედს ვიტოვებ, ბეჟაშვილი კანონს არ დაარღვევს და მაგალითს მისცემს სხვა მაღალჩინოსნებს, თუ როგორ შეიძლება, მათ და მათმა წარმომადგენლებმა კანონები აღასრულონ" – განუცხადა ჟურნალისტებს ცაგარეიშვილმა.

პირველი

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ქართუ ბანკს" ხელისუფლებამ კიდევ ერთი მილიონი აახია"

შალვა ჯოხაძე

**გუშინ კონტროლის პალატამ „ქართუ ბანკის" დაჯარიმებასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა. უწყების ინფორმაციით, 12 მარტს პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა კანონისთვის გვერდის ავლის მიზნით განხორციელებული ფინანსური ტრანზაქციის ფაქტზე „ქართუ ბანკი" უკანონო შემოწირულების ათმაგი ოდენობით — 822 040 ლარით დააჯარიმა.**

– კორუფციული სქემის მიხედვით, სს ,,ქართუ ბანკმა" თავის თანამშრომლებს ჩაურიცხა დიდი ოდენობით პრემია – 82 204 ლარი, ამ თანხის აიპ ,,საზოგადოებრივი მოძრაობა – „ქართული ოცნებისთვის" შემდგომი გადარიცხვის მიზნით.

ამ ფაქტს ადასტურებენ სს ,,ქართუ ბანკის" თანამშრომლები – რ. ქურდაძე და ზ. ხუხუნეიშვილი. რ. ქურდაძემ პრემიის სახით მიიღო – 44 400 ლარი, ხოლო ზ. ხუხუნეიშვილმა – 37 804 ლარი, თუმცა შემდგომ მათ უარი განაცხადეს უკანონო გარიგებაში მონაწილეობის მიღებაზე, – განაცხადეს კონტროლის პალატაში.




გუშინვე გაირკვა, რომ „ქართუ ბანკი" პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდას კი აპირებს, თუმცა სასამართლოს მაინც მიმართავს. „ქართუ ბანკის" პრეზიდენტმა ნოდარ ჯავახიშვილმა განაცხადა, რომ „ქართუ ბანკის" იურისტები სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავენ, შესაბამის სარჩელს უკვე ამზადებენ.

– ეს არის აბსოლუტურად უსამართლო, უკანონო და დაუსაბუთებელი ქმედება. სარჩელს შევიტანთ და ჩვენს უფლებებს სტრასბურგის სასამართლოშიც დავიცავთ. ფაქტია, რომ ორი ადამიანი – ხუხუნეიშვილი და ქურდაძე შეაშინეს და თავიანთ სასარგებლოდ ალაპარაკეს. თუ ეს ასე არაა, მაშინ რით ახსნით იმ ფაქტს, რომ ამ ადამიანებს ნაციონალური ტელევიზია სახლებში ესტუმრა?! ყველაფერი ხელოვნურად იყო მომზადებული.

აქ არც ლოგიკაა, არც კანონი და არც სამართალი. კანონში წერია, რომ პარტიას ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის უფლება არ აქვს, არც ჩარიცხვია; ჩვენ გვეკრძალება გადარიცხვა, არც გადაგვირიცხავს. თუ გაცემული პრემიები გადაირიცხებოდა, ამ შემთხვევაში შეიძლებოდა რამეზე საუბარი. გვაჯარიმებენ იმ თანხების გამო, რომლებზეც ქალბატონ მოგელაძეს ეჭვი გაუჩნდა, რომ შეიძლება მომავალში გადარიცხულიყო, თუმცა, ერთი თვეა ამ ხალხს თანხა მიღებული აქვს და ჯერ არავის არაფერი გადაურიცხავს.

კონტროლის პალატამ თვითონვე გამოიჭირა ორი ადამიანი და ათქმევინა რაც სურდა, მაგრამ ამის დამადასტურებელი ფაქტები არ არსებობს. 19-მა კაცმა მიიღო პრემია და რატომ შეიძლებოდა მაინცდამაინც ორისთვის დამევალებინა, ეს თანხა გადაერიცხათ. ყველა დანარჩენი ამბობს, რომ მათ მიმართ არანაირი მოთხოვნა არ ყოფილა, – განაცხადა ჯავახიშვილმა.

# პარლამენტი ანტინარკოტიკული კანონმდებლობის განხილვას იწყებს

პარლამენტი მიმდინარე კვირაში ანტინარკოტიკულ კანონმდებლობაზე მსჯელობას შეუდგება. როგორც ბიუროს გუშინ გამართულ სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი წერეთელმა განაცხადა, მისი განხილვა ჯერ იურიდიულ, შემდეგ კი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში იგეგმება. განხილვისას გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალსიწინებით ანტინარკოტიკული კანონპროექტის საბოლოო ტექსტი ჩამოყალიბდება, რომელსაც უკვე პარასკევისთვის დაგეგმილ პლენარულ სხდომაზე გაიტანენ.

ანტინარკოტიკულ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების თანახმად, ჯარიმების ნაწილი ნარკოტიკების მომხმარებელთა მკურნალობა-რეაბილიტაციას მოხმარდება.

**მედიანიუსი**

# თინა ხიდაშელი: ველოდები ნათია მოგელაძის ისტერიკებს"

## „ქართული ოცნების" აქტივისტების დატერორება დაიწყო

შალვა ჯოხაძე

**ვინც კი ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნების" მხარდასაჭერად თითი თითზე მაინც დადო, ყველას ნათია მოგელაძის ისტერიკის ხილვის „ბედნიერება" აქვს წინ (ყოველ შემთხვევაში, თინა ხიდაშელის თქმით, ნათია მოგელაძეს ეს ახასიათებს). დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში უკვე მიიღეს და აღმოსავლეთში მალე მიიღებენ უწყებას, რომელსაც კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყფროსის მოადგილე გიორგი ამირანაშვილი აწერს ხელს.**

– საქართველოს კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურში პოლიტიკური სუბიექტების მოჩვენებითი, თვალთმაქცური გარიგების გზით დაფინანსების ფაქტზე ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს, რასთან დაკავშირებითაც დაბარებული ხართ ახსნა-განმარტების მისაცემად.

ასევე, დამატებით გაცნობებთ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის საფუძველზე, გაქვთ უფლება, გაეცნოთ საქმის მასალებს, მისცეთ ახსნა-განმარტება, წარადგინოთ მტკიცებულებანი, განაცხადოთ შუამდგომლობანი, საქმის განხილვისას ისარგებლოთ ადვოკატის იურიდიული დახმარებით, ისარგებლოთ თარჯიმნის მომსახურებით, გაასაჩივროთ საქმის გამო მიღებული დადგენილება.

საქართველოს კონტროლის პალატისათვის მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდების კანონით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობა ისჯება კანონით, – ასეთი უწყება მიიღეს დასავლეთ საქართველოში იმ ადამიანებმა, რომლებიც, მაგალითად, ,,ქართული ოცნების" გაზეთებს არიგებდნენ.

– დასავლეთ საქართველოში დიდთოვლობაა და უმრავლესობა სატელეფონო ზარის მეშვეობით დაიბარეს. ყველაზე ცინიკური და სასაცილო ისაა, რომ დაბარებულებს ეუბნებიან, ჩვენ ვერ მოვდივართ უწყების ჩასაბარებლად, რადგანაც გზები არ არის, ამიტომ, თქვენ მობრძანდითო. სხვადასხვა ადგილებში იბარებენ, იმის მიხედვით, აქვს თუ არა კონტროლის პალატას იმ რეგიონში განყოფილება. არც ერთ ამ ადამიანს არათუ შემოწირულობა არ აქვს განხორციელებული, მათი ურმავლესობა ჩვენი კოალიციის შემადგენელი პარტიების წევრიც კი არაა. ისინი უბრალოდ გვეხმარებიან, ასეთი ძალიან ბევრი ადამიანია, – განაცხადა ჩვენთან საუბრისას თინა ხიდაშელმა. მან აღნიშნა, რომ ეს ადამიანები მზად არიან, გამოვიდნენ და ღიად ისაუბრონ მათი დასაკითხად დაბარების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კოალიცია ,,ქართული ოცნების" წარმომადგენლები ამ თემაზე არ ისაუბრებდნენ.

მათი მხარდამჭერების დატერორების შესახებ განცხადება თინა ხიდაშელმა და ზვიად ძიძიგურმა გუშინ გააკეთეს. მათ აღნიშნეს, რომ თავადაც შეიტანდნენ თანხებს კოალიციის შემადგენლობაში შემავალი ორგანიზაციების მხარდასაჭერად, რათა კონტროლის პალატის მიერ დაკითხულთა შორის თავადაც აღმოჩენილიყვნენ.

მართლაც, ზვიად ძიძიგურმა და თინა ხიდაშელმა გუშინვე ,,ქართული ოცნების" სუბიექტის ანგარიშზე შემოწირულობის სახით ფული გადარიცხეს. 16:30 საათზე რუსთაველის №1 მდებარე ,,თიბისი ბანკის" ოფისს თინათინ ხიდაშელი ეწვია, 17 საათზე კი ზვიად ძიძიგური – ჭავჭავაძის №39-ში მდებარე ,,ქართუ ბანკს".

თინათინ ხიდაშელმა ,,რესპუბლიკური პარტიის" ანგარიშზე 10 000 ლარის ოდენობის შემოწირულობა შეიტანა. როგორც ტრანზაქციის განხორციელების შემდეგ ხიდაშელმა ჟურნალისტებს განუცხადა, შემოწირულობის შეტანის მიზანი იმის გარკვევაა, თუ რა მეთოდებს მიმართავს კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახური მოქალაქეების დაკითხვისას.

– ის წნეხი, რასაც კონტროლის პალატა ჩვენს პოლიტიკურ კოალიციაში შემავალი სუბიექტებისთვის თანხების შემომწირველების წინააღმდეგ ახორციელებს, უნდა გადავიდეს ჩვენზე, პოლიტიკოსებზე. სწორედ



თინა ხიდაშელი

ამას ემსახურება ჩემი და ზვიად ძიძიგურის მიერ გაკეთებული შემოწირულობა. ამ წუთიდან ველოდებით ზარს ქალბატონი პროკურორისგან. ჩემთვის ძალიან საინტერესოა დაკითხვის მისეული მეთოდები. მივმართავ ლევან ბეჟაშვილს, ჩვენი მისამართითაც გამოიყენოს იგივე ზომები, რასაც პოლიტიკური სუბიექტებისთვის შემწირველი სხვა პირების მისამართით მიმართავს. მივმართავ ლევან ბეჟაშვილს, ნუ იქცევა ისე, როგორც 37-იან წლებში შინსახკომის კომისრები იქცეოდნენ. თუ ეყოფათ გამბედაობა, დაგვკითხონ მე და ზვიად ძიძიგური", – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

პოლიტიკური კოალიცია ,,ქართული ოცნების" წევრმა, კონსერვატორმა ზვიად ძიძიგურმა კი თავისი პარტიის, კონსერვატორების ანგარიშზე 12 ათასი ლარი შეიტანა.

როგორც ძიძიგურმა აღნიშნა, ეს თანხა მისი დანაზოგია. ის ელოდება, თუ როდის დაიბარებენ მას კონტროლის პალატაში და ,,სამართალდარღვევაში" დაადანაშაულებენ.

როგორც აღვნიშნეთ, ხიდაშელმა და ძიძიგურმა ,,ქართული ოცნების" მხარდამჭერების დატერორების შესახებ განცხადება გუშინ გააკეთეს.

თინა ხიდაშელი:

– კვირა დღეს, მთელი დღისა და ღამის განმავლობაში საქართველოს პრაქტიკულად ყველა რაიონსა თუ ქალაქში ჩვენი აქტივისტების ტერორი მიმდინარეობდა. ადამიანები, რომლებიც მათთან მიდიოდნენ, ამბობდნენ, რომ კონტროლის პალატის წარმომადგენლები იყვნენ. თუმცა შეუძლებელია, ეს რეალობა ყოფილიყო, რადგან კონტროლის პალატას ყველა რაიონსა თუ ქალაქში არ აქვს წარმომადგენლობა. ეს იმითაც დასტურდება, რომ ადგილები, სადაც მათ იბარებდნენ, უმრავლეს შემთხვევაში, კონტროლის პალატის შენობები არ იყო.

მინდა, საზოგადოებამ კარგად იცოდეს, ვის იბარებდნენ კონტროლის პალატას ან სხვა დაწესებულებებში. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ამ ბოლო თვეების განმავლობაში ,,ქართული ოცნების" გაზეთებს არიგებდნენ, ადამიანები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის მხარდამჭერ ხელმოწერებს აგროვებდნენ. რიგ შემთხვევებში, ისინი კოალიციაში შემავალი არც ერთი პარტიის წევრებიც კი არ არიან. ისინი არც ფინანსურ ურთიერთობებში იმყოფებიან კოალიცია ,,ქართულ ოცნებასთან", არიან ჩვეულებრივი სამოქალაქო აქტივისტები, რომლებმაც საკუთარი სამოქალაქო პოზიციიდან გამომდინარე, ნებაყოფლობით ჩვენი დახმარების სურვილი გამოთქვეს. ისინი ქვეყნის გადარჩენის მოტივით მონაწილეობდნენ ჩვენს სხვადასხვა პროექტში.

ხიდაშელის განცხადებით, ეს პროცესი დიდი ხანია, გრძელდება, მაგრამ ბოლო დღეებში მასობრივი ხასიათი შეიძინა. ის დარწმუნებულია, რომ ეს ტენდენცია მთელ საქართველოში გაგრძელდება.

– ჩვენს აქტივისტებს მივმართავ, გამოიჩინონ სიმხნევე, ნუ აყვებიან იმ პროვოკაციებს, რომელთაც მათ სხვადასხვა საჯარო მოხელეები უწყობენ, მათ სახლებში მიდიან, მათ დაშინებას, მათთვის პრობლემების შექმნას ცდილობენ, სხვადასხვა არგუმენტებს იყენებენ, იმისათვის, რომ ისინი ,,ნებაყოფლობით" მიიყვანონ მათ მიერ მითითებულ მისამართებზე. ამ ადამიანებს ხელს აწერინებენ განცხადებებზე, რომ ისინი თავად ამბობენ უარს ადვოკატის დახმარებაზე, უფრო სწორად, მათ ასეთ შეთავაზებებს უკეთებენ. მათ მინდა ვთხოვო, არც ერთმა ასეთ განცხადებაზე ხელი არ მოაწეროს, – აცხადებს თინა ხიდაშელი.

ხიდაშელი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რა მუხლით იბარებენ ამ ადამიანებს.

თინა ხიდაშელი:

– მათ იბარებენ, როგორც ფინანსურ მაქინაციებში მონაწილე სამართალდამრღვევებს. მათ მიმართ გამოყენებულია და წერილებში მითითებულია 252 მუხლი, რომელიც არ არის არც მოწმის შესახებ, არც ინფორმაციის შეგროვების მიზნით არსებული მუხლი, ეს არის ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის, ანუ უკვე რაღაც ცუდი ამბის ჩამდენი ადამიანების მიმართ გამოყენებული მუხლი. ხალხი, რომელიც აგროვებდა ხელმოწერებს და არიგებდა გაზეთებს, ჩვენი ხელისუფლებისთვის, როგორც ჩანს, სამართალდამრღვევია.

საქართველოს ხელისუფლებას, კონტროლის პალატას მივმართავ, თავი დაანებოს რეგიონებში ჩვენს აქტივისტებს. მე, როგორც პოლიტიკური კოალიცია ,,ქართული ოცნების" წევრი ორგანიზაციების ანგარიშზე თანხის შემტანი ველოდები კონტროლის პალატას, რომ დაკითხვაზე დამიბაროს. ველოდები ნათია მოგელაძის ისტერიკებს, რომელსაც ის უწყობს იქ დაბარებულ ჩვენს აქტივისტებს. მიიღოს მან ჩემი გამოწვევა. მოგელაძეს პირდაპირ მივმართავ, დამიბაროს კონტროლის პალატაში, მითხრას, როგორი სამართალდამრღვევი ვარ, რას ვარღვევ, რა ფინანსურ მაქინაციებში ვმონაწილეობ. საინტერესოა, რა დოკუმენტებს წარმოგვიდგენენ. ასევე, მოვითხოვ, რომ ყველა დაკითხვა, რომელიც განხორციელდება, აუდიო-ვიდეო მატარებლებზე იყოს გადატანილი და იქცეს საჯაროდ. ხომ ამბობენ, რომ გამჭვირვალე ხელისუფლებაა, ამიტომაც, სამოქალაქო აქტივისტების ყველა დაკითხვა საჯარო გახადონ. საზოგადოებამ თავად იხილოს, როგორ იქცევა ქალბატონი პროკურორი, ჩვეულებრივ ადამიანებთან ურთიერთობაში გესტაპოსა და ესესისთვის დამახასიათებელი მოქმედებებით გამორჩეული, – აცხადებს თინა ხიდაშელი.

ხიდაშელის მტკიცებით, სახეზე გვაქვს სისხლის სამართლის დანაშაული, რასაც ნათია მოგელაძე ამ ადამიანების დაკითხვების დროს ყოველდღიურად სჩადის.

თინა ხიდაშელი:

– პირადად ნათია მოგელაძე მონაწილეობს ამ დაკითხვებში, პირადად ატერორებს ამ ადამიანებს, პირადად ემუქრება, მათ შორის, დაპატიმრებით. ალბათ, თავი ისევ პროკურატურაში ჰგონია. ამიტომ, მივმართავ საქართველოს გენერალურ პროკურორს, ჩემი განცხადების საფუძველზე და კანონით მათ ეს ვალდებულება აქვთ, დაიწყოს მოკვლევა ნათია მოგელაძის მიერ ჩვენი აქტივისტების დაკითხვის ფაქტებზე.

ჩვენ კონტროლის პალატა არ გვაძლევს აუდიო-ვიდეო მასალას, იმედია, პროკურატურას მისცემს იმის დასადასტურებლად, როგორ იქცევა ის ამ დაკითხვების დროს.

მინდა, ყველა ჩვენმა მხარდამჭერმა, მეგობარმა, აქტივისტმა, ადამიანებმა, რომელთაც ამ ქვეყნის გადარჩენა უნდათ, ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ეს ყვალაფერი მალე დასრულდება. 6 თვე უნდა მოვითმინოთ, უნდა გავუძლოთ და შემდეგ პასუხი უნდა ვაგებინოთ ყველა იმ ადამიანს, ვინც ბედავს და მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანებს აქვთ კეთილი ნება სამოქალაქო აქტიობისა, ასე უღირსად ექცევიან, მათთვის ღირსების შელახვას, მათ დაშინებასა და მათი ოჯახის წევრების შანტაჟს ცდილობენ.

ზვიად ძიძიგურმა კი კონტროლის პალატის ხელმძღვანელს, ლევან ბეჟაშვილს მიმართა.

– ლევან ბეჟაშვილს მივმართავ, რომელმაც კონტროლის პალატა გადააქცია თვალთმაქცური საქმიანობების ორგანოდ, გადააქცია პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სოდ-ისა და კუდ-ის დანამატად, რომ შემხვდეს, დამელაპარაკოს.

ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ სწორედ პოლიტიკოსებთან ილაპარაკონ იმ თემებზე, რა თემებითაც უნდათ მათ საქართველოს მოქალაქეების დაშინება. მინდა განვაცხადო, რომ ყველაფერი, რასაც საქართველოს ხელისუფლება აკეთებს, ძალიან ჰგავს განწირული ხელისუფლების ქმედებას. პროცესები გაცილებით დაჩქარდება, ძალიან საინტერესო მოვლენების მომსწრენი გავხდებით.

კიდევ ერთხელ მივმართავ ლევან ბეჟაშვილს, ცხოვრებაში ერთხელ მაინც იყოს ხერხემლიანი პოლიტიკური ფიგურა, ხერხემლიანი სახელმწიფო მოხელე და მოიქცეს ისე, როგორც კანონის მოთხოვნებია და ნუ იქცევა ისე, როგორც მას უბრძანებს პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ნათია მოგელაძე, – განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

# მიხეილ სააკაშვილი: პუტინს კახეთში შევხვდები“

თეა მარხვაიძე

**საქართველოს პრეზიდენტმა ლამის თავის კოლეგა პუტინს „სტრელკა“ დაუნიშნა. ჩვენი ქვეყნის პირველ პირს სურვილი აქვს ვლადიმერ ვლადიმეროვიჩს განახლებულ კახეთში შეხვდეს. ეს განცხადება სააკაშვილმა გუშინ თელავში გააკეთა.**




კახეთის გულს სააკაშვილი საპატიო მიზეზით სტუმრობდა. მან კახეთის რეაბილიტაციის გეგმა წარადგინა და ზურაბ ადეიშვილი გააპიარა. ის ზურაბ ადეიშვილი, რომელიც 28 თებერვალს პარლამენტში ოპოზიციის ნაწილს შემოეკრიტიკა. ეს სხდომა ყველას გახსოვთ. იმ დღეს სააკაშვილი პარლამენტის წინაშე ყოველწლიური მოხსენებით წარდგა, სადაც „რადიკალურმა ელემენტებმა“ ხელისუფლების საწინააღმდეგო კომპრომატები ააფრიალეს. ჯონდი ბაღათურია და გია ცაგარეიშვილი გვყავს მხედველობაში. მათ მიერ აფრიალებულმა დოკუმენტებმა პრეზიდენტი ძლიერ გააბრაზა და იმ დღიდან მოყოლებული გვიმტკიცებს, როგორი გაღლეტილები და უპოვრები არიან მერაბიშვილი და ადეიშვილი.

თუმცა, როგორც გუშინ გაირკვა, ადეიშვილი მარტო გაღლეტილი და უპოვარი არ ყოფილა.

— კახეთის რეაბილიტაციის იდეის ავტორი ზურაბ ადეიშვილია, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თელავში, ქალაქის განვითარების პროექტი პრეზენტაციისას განაცხადა.

მისივე თქმით, სიღნაღის რეაბილიტაციის იდეაც თავის დროზე ზურაბ ადეიშვილს ეკუთვნოდა.

— ზურაბ ადეიშვილზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ რადიკალური ელემენტები თბილისში, აღსავსე იმის სურვილით, რომ დაემტკიცებინათ, თუ როგორი კორუმპირებულია თურმე საქართველოს მთავრობა, გადაწყვიტეს, მიტინგი გაემართათ ზურაბ ადეიშვილის სახლთან ყვარელში. დაირაზმნენ, ჩავიდნენ, ოღონდ, ვერ იპოვეს სახლი, იმიტომ, რომ ეძებდნენ ყველაზე დიდ სახლს ყვარელში. მას აქვს ჩვეულებრივი მოკრძალებული სახლი. ეს არის განსხვავება, რაც იმათ ვერ გაუგიათ, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოს მთავრობას ფულის გაკეთების სურვილი რომ ამოძრავებდეს, ადვილი იქნებოდა, მაგრამ ის, რასაც ახლა საქართველოს მთავრობა აკეთებს, არ შეიძლება რაიმე მატერიალურზე გაიცვალოს.

— ის, რასაც ახლა ვაკეთებთ, ისინი ვერასოდეს გაიგებენ, რადგან ისინი გაზრდილები არიან როგორც მონები, როგორც სხვა ქვეყნის მსახურები და სხვა ქვეყანას რაც მეტს მოპარავდი, მით უფრო კარგი იყო შენი მუცლისთვის. ჩვენ გვაქვს განცდა იმისა, რომ ჩვენ ჩვენი ქვეყნის შემქმნელები ვართ, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, როდესაც მის დეკლარაციაზე საუბრობენ, უნდა ითქვას, რომ ფინანსური კუთხით დეკლარაცია არ გაზრდილა. თუმცა მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ მისი დეკლარაცია გაიზარდა იმდენად, რამდენადაც გაუმჯობესდა საქართველოს მდგომარეობა.

— ჩემს დეკლარაციაში აუცილებლად შევიტან ახალ ბათუმს, თბილისის ახალ უბნებს, ახალ გზებს, ახალ ზუგდიდის ცენტრს, ქუთაისის განახლებულ ცენტრს. მე ვიცი, რომ დიდი ნაწილი ჩვენი საზოგადოების გაჭირვებულია და ესეც ვალად მაქვს შეტანილი ჩემს დეკლარაციაში, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ალბათ, ყველანი კარგად ხვდებით, რომ მონოლოგის ეს ნაწილი ბიძინას გარშემო შეკრებილებს ეხებოდა. არადა, ყველამ იცის, რომ სიღნაღის რეაბილიტაცია ივანიშვილმა დააფინანსა და რაკი იდეა ადეიშვილის ყოფილა, ბიძინა მის აღდგენას ვერ დაიბრალებს.

კახეთის რეაბილიტაციაზე საუბრის და ოპოზიციის კრიტიკის პარალელურად, ჩვენს პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინიც შემოელანძღა, რომელიც არც თავად გამოირჩევა ჩვენი ხელისუფლების მიმართ კორექტული ჭუკჭუკით. არაკორექტულობაში ჩვენს მაღალს პუტინი ნამდვილად ვერ აჯობებს და, შესაბამისად, არც პასუხს დაუგვიანია.

— რამდენიმე დღის წინ დამპყრობლის ახალმა ძველმა უფროსმა გენერალური ბრძოლის ახალი დრო და ადგილი დაგვინიშნა — შემოდგომის საპარლამენტო არჩევნები, — თქვა მიხეილ სააკაშვილმა. მისივე თქმით, როგორც ბლოკადა და ომი ვერ მოუგო რუსეთმა საქართველოს, ისე დემოკრატიულ ბრძოლას ვერ მოუგებს.

— დემოკრატიას ყოველთვის იგებს ხალხი და ქართველი ხალხი ამ ბრძოლასაც აუცილებლად მოიგებს. მტერმა ყოველთვის იცოდა, სად მოეყენებინა დარტყმა. შაჰ-აბასმა გაასახლა კახელები და ამოძირკვა ვაზი, დღევანდელ რუსეთს ხელი მიუწვდა მხოლოდ აფხაზეთსა და ცხინვალზე, მაგრამ არა — კახეთზე. თუმცა, თანამდებობაზე მისვლის პირველსავე დღეებში პუტინმა კახეთი დაბომბა და ასეთივე ქმედება იყო კახური ღვინის ემბარგოც. ამის მიუხედავად, მათ ყველაზე ველურ ოცნებებშიც კი ვერ წარმოედგინათ, რომ კახეთი ფეხზე წამოდგომას შეძლებდა. ეს არის ჩვენი სახელმწიფოებრიობის ხერხემალი, — განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, რუსეთმა ყველაფერი სცადა საქართველოს წინააღმდეგ, მათ შორის — ენერგეტიკული ემბარგო. თუმცა, როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, საქართველომ ენერგეტიკულ და ეკონომიკურ ემბარგოს გაუძლო და პატარა ნაბიჯებით, მაგრამ მაინც წინ მიიწევს.

— რაც მთავარია, ომს გავუძელით, რომელ ქვეყანაში შეიჭრა რუსეთი საბჭოთა კავშირიდან და არ ჩამოაგდო მთავრობა, არ გადაუარა, არ ჩატკეპნა მიწაში და არ გატეხა ხერხემალში ის ქვეყანა. საქართველო კი მაინც ამაყად დგას და აფრიალებს თავის დროშას. მათ იციან, რომ საქართველოსთან ვერ გაიმარჯვეს. ჩვენი საბოლოო გამარჯვება კი მათი ჯარებისგან გათავისუფლება იქნება. პუტინს კი, პაემანი რომ დაგვითქვა ოთხი დღის წინ, შემოდგომაზე შევხვდებით, მათ შორის — განახლებული კახეთის ქუჩებში, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი გამოსვლის ეს ნაწილი პუტინის განცხადების საპასუხოდ გაკეთდა. ვლადიმერ ვლადიმეროვიჩმა 7 მარტს განაცხადა, რომ რუსეთს განსაკუთრებული ურთიერთობები აქვს ქართველ ხალხთან. მან იმედი გამოთქვა, რომ გამოსავალი მოიძებნება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. ჟურნალისტების და პუტინის გაბაასების ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტს „საქინფორმი“ აქვეყნებს.

პუტინმა კი ის განცხადება გააკეთა ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტის შეკითხვაზე საპასუხოდ — თუ როგორ განიხილავდა ის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს მისი პრეზიდენტობის დროს იმ ფონზე, რომ რუსეთი აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას — გადაწყვეტილება, რომელიც „არავის მოსწონს“.

— როგორ შეიძლება ვინმეს მოეწონოს გადაწყვეტილება სამშვიდობოებზე თავდასხმის შესახებ? ეს ხომ არავის მოეწონა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან, რუსეთში, განსაკუთრებით, როცა ხალხი დაიხოცა... ეს საქართველოს ამჟამინდელი ხელმძღვანელობის ქმედებების შედეგია და არა ჩვენი. ჩვენ უკვე ბევრჯერ ვთქვით და მინდა კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი: ჩვენ განსაკუთრებული ურთიერთობები გვაქვს ქართველ ხალხთან და ვიმედოვნებთ, რომ გამოსავალი გამოიძებნება. მაგრამ ამაზე ახლა ნაადრევია საუბარი და, ალბათ, აზრიც არ აქვს. დღეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევია და ის კურირებს საგარეო პოლიტიკას. ასე რომ, თუ შეიძლება, კითხვები მას დაუსვით. მერე კი შევხედავთ, რა იქნება შემდგომში, — განაცხადა პუტინმა.

მოგვიანებით ქართველმა ჟურნალისტმა მას ისევ დაუსვა კითხვა — აპირებს თუ არა ის თავის კოლეგასთან ურთიერთობებს და ამ კონტექსტში ახსენა თბილისის გადაწყვეტილება რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის ცალმხრივად გაუქმების თაობაზე.

პუტინმა უპასუხა, რომ მოსკოვს უვიზო მიმოსვლა აქვს დსთ-ის ქვეყნებთან, ორგანიზაციის, რომელიც საქართველომ დატოვა. თუმცა მას შემდეგ, რაც ჟურნალისტმა შეახსენა, რომ სავიზო რეჟიმი მოქმედებდა მაშინაც, როცა საქართველო ჯერ კიდევ დსთ-ის წევრი იყო 2008 წლის აგვისტომდე.

— დიახ, ეს ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით გაკეთდა. ახლა კი ის დსთ-დანაც გავიდა, — განაცხადა პუტინმა.

ამის შემდეგ ჟურნალისტმა ჰკითხა, ნიშნავდა თუ არა ეს, რომ პუტინის პრეზიდენტობის 6-წლიან პერიოდში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები უცვლელი დარჩება.

— არ ვიცი, საქართველოში არჩევნები როდის არის?... ამაზე, ასევე, ძალიან ბევრია დამოკიდებული, — განაცხადა ვლადიმეროვიჩმა.

შემდეგ ჟურნალისტმა უთხრა მას, რომ საქართველოში არ არის ისეთი პოლიტიკოსი, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს აღიარებს.

— და თქვენ რა გინდათ რუსეთისგან? რომ რუსეთმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ძალით აიძულოს? — მიმართა მან შეკითხვით ჟურნალისტს. პასუხად კი მიიღო: „გაიყვანეთ ჯარები აფხაზეთიდან და ოსეთიდან“.

— და თქვენ იქ ისევ შეხვალთ თქვენი ჯარებით? — განაგრძო პუტინმა, — თქვენ ერთხელ უკვე გააკეთეთ ასე და ზუსტად ამიტომაც, ეს რომ არ ყოფილიყო, მაშინ სიტუაცია სხვანაირი იქნებოდა. გაიხსენეთ, როცა ეს მძიმე მოვლენები დაიწყო, სამხედრო მოქმედებები, დაგავიწყდათ, რა ვთქვი მე?... მე ვთქვი: „სააკაშვილმა ჩაიდინა დანაშაული თავისი ხალხის წინააღმდეგ, საქართველოს წინააღმდეგ. მან მიაღწია ტერიტორიების ჩამოშორებას. ახლა როგორ მოველაპარაკოთ ამ ხალხს? აი, სადაა შეცდომა!“.

— ჩვენ ხომ მიხეილ ნიკოლაევიჩთან ბევრჯერ გვილაპარაკია ამის შესახებ, — განაგრძო მან, — მე არ ვიცი, ამაში არაფერი განსაკუთრებული არ არის, თუ მე ამაზე ვიტყვი, რომ მე მისთვის ბევრჯერ მითქვამს: მიხეილ ნიკოლაევიჩ, ოღონდაც ნუ მიიყვანთ სისხლისღვრამდე!.. საჭიროა მოლაპარაკება ამ ადამიანებთან! ეს ხომ გუშინ არ წარმოიშვა და არა რუსეთის მხრიდან პროვოკაციის შედეგად. და 1921 წელს რა იყო? არ იცით? წაიკითხეთ ისტორია. იცით, ხომ, მართლა? და 1919 წელს? ეს რეიდები — ორი თუ სამჯერადი რეიდები და ასევე, ძველ დროშიც. ასე მარტივად არ არის! ეთნიკური ურთიერთობები ძალიან ფაქიზი რამეა. და საჭიროა ურთიერთობების დალაგება ამ ადამიანებთან. მან თქვა: კი, რა თქმა უნდა! აუცილებლად! ჩვენ ასე ვიზამთ. და რა გაკეთდა რეალურად? — ყველაფერი საპირისპიროდ. ჩვენ მათ ვეუბნებოდით, რომ არ ჩავერეოდით აჭარაში, როცა იქ დაიწყება მოვლენები, იქ ჩვენი ბაზის არსებობის მიუხედავად. მე სიტყვას გაძლევთ, ჩვენ თითიც არ გაგვინძრევია, ჩვენ არ ჩავრეულვართ. მან შემდეგ მითხრა: კი, თქვენ მართლაც შეასრულეთ სიტყვა და როგორ მოიქცა საქართველოს ხელმძღვანელობა? ჩვენ მოველაპარაკეთ მათ, რომ შევქმნიდით ჩვენი ბაზის ადგილას ანტიტერორისტულ ცენტრს. და სად არის ეს ყველაფერი? და როდესაც მე შევთავაზე მიხეილ ნიკოლაევიჩს: მოდი ხელი მოვაწეროთ შეთანხმებას, რომ ის იქნება ანტიტერორისტული ცენტრი, მან თქვა: არაფერია ხელმოსაწერი. მე ვთქვი: ეს როგორ? ხელშეკრულება. თუ ჩვენ არ გვინდა შესრულება, მაშინ შეთანხმებაც მოვისროლეთ. აი, გამარჯობა შენი! როგორ მოვილაპარაკოთ ასეთ ადამიანებთან? რაზე? ეს თითქმის პირდაპირი ლაპარაკია. მე ვიცი, მიხეილ ნიკოლაევიჩი გაიგებს, რა თქმა უნდა, რასაც ახლა მე ვლაპარაკობ და უარყოფს ან როგორღაც იტყვის, — განაცხადა პუტინმა.

შემდეგ პუტინს ჟურნალისტების გარემოცვიდან რეპლიკის სახით მიხეილ სააკაშვილის ჰალსტუხთან დაკავშირებული ისტორია შეახსენეს.

— რაც არის, არის, ეს ჰალსტუხი. ადამიანი ნერვიულობდა, არა უშავს, ხდება ხოლმე. ყველას შეიძლება დაემართოს. მე ყოველგვარი ირონიის გარეშე ვამბობ ამას. მაგრამ, რაც მე ახლა მოვყევი, ეს სიმართლეა. არ დამიმატებია არც ერთი სიტყვა და როგორ მოველაპარაკოთ მას? რაზე? — განაცხადა მან.

შემდეგ მას ჰკითხეს: „ანუ ახალ პრეზიდენტს ელოდებით?“

— ქართველი ხალხი განსაზღვრავს, ვინ უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი და არა — ჩვენ. ჩვენ ჩვენი პოზიცია ვთქვით, ჩამოვაყალიბეთ, იმ ტრაგედიის ინიციატორები, რომელიც მოხდა, ჩვენ არ ვყოფილვართ, მაგრამ, ალბათ, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს რაღაც იმისათვის, რომ როგორღაც შეიცვალოს სიტუაცია, — ნაგალდ აცხადებს პუტინი.

პუტინმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას კიდევ ერთ ეპიზოდში ახსენა საქართველო, როცა ამბობდა, თუ რომელი ქვეყნის ლიდერებმა მიულოცეს მას საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება. ჩამოთვლისას მან საქართველოც ახსენა, თუმცა შემდეგ გამოასწორა: „პარდონ, საქართველოდან, სამხრეთიდან, ჯერ არ დაურეკავთ“.

# მაჭავარიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი გახდა

## მიშა მაგარია!!!

თეა მარხვაიძე

ბოროტი ხმები ამბობდნენ, მიხეილ მაჭავარიანი ნაცმოძიდან მოკვეთესო. ამბობდნენ, რომ ის შესაძლოა ბიძინა ივანიშვილის ნავში ჩამჯდარიყო. ამ ადამიანის პოლიტიკური ალღოს შესახებ ლეგენდები დადის. და თუ მაჭავარიანმა ოპოზიციისკენ გაიწია, ჩათვალეთ რომ მორიგი ხავერდოვანი გადატრიალება მოგვადგა კარზე.

ერთი პერიოდი მაჭავარიანი არ ჩანდა. არც აქტიურობით იკლავდა თავს და არც წიკლაურის სევდიან ხმაზე ლანძღავდა ივანიშვილს. დღეს კი ყველა ჭეშმარიტი ნაციონალის ვალია, სოლოლაკში გამაგრებული პერსონის ლანძღვა.

მაჭავარიანის ფანების გასახარად უნდა ითქვას, რომ მათ სათაყვანებელ მიშას ნაცმოძიდან გარიცხვა არ ემუქრება. უფრო მეტიც, ის დააწინაურეს და ოპოზიციის გულის გასახეთქად პარტიის გენმდივნად დანიშნეს.




ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის თანამდებობაზე ზურაბ მელიქიშვილი, პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა ჩაანაცვლა. შესაბამისი გადაწყვეტილება გუშინ პარტიის პოლიტიკური საბჭოს სხდომაზე მიიღეს.

როგორც ნაციონალურ მოძრაობაში აცხადებენ, გუშინდელ სხდომაზე განიხილეს სხვადასხვა საკითხები, მათ შორის, პარტიის საერთაშორისო აქტივობის, რეგიონული ორგანიზაციების სტრუქტურისა და გენერალური მდივნის როტაციის საკითხი.

— ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურ მდივნად 4 წლის განმავლობაში მუშაობდა ბატონი ზურა მელიქიშვილი. ამ წლების განმავლობაში პარტიამ მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს როგორც საპარლამენტო, ასევე, თვითმმართველობისა და აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში. პარტიას ჰქონდა მნიშვნელოვანი წინსვლა საერთაშორისო ასპარეზზე: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გახდა ევროპის სახალხო პარტიის ევრი, — ნათქვამია „ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებაში.

ზურაბ მელიქიშვილმა როტაციის საკითხზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა და „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ მათ ვებ-გვერდზე ამომწურავი ინფორმაციაა გამოქვეყნებული და დამატებით ვერაფერს იტყვის.

მიხეილ, იგივე მიშა მაჭავარიანი ერთხელ უკვე იყო პარტიის გენმდივანი. ოღონდ არა ამ პარტიის. წლების წინ საქართველოში მოქკავშირი „გრიმიტობდა“. სწორედ იქ გენმდივნობდა ერთი პერიოდი მაჭავარიანი.

ისე მას გენმდივნობის შანსი სხვა დროსაც მიეცა. ეს ის დრო იყო, როცა ზურაბ ჟვანიამ გაერთიანებული დემოკრატები შექმნა. სანამ ბურჯანაძე-დემოკრატები გახდებოდნენ ასე ერქვათ.

ჰოდა, მაშინ დადგა დღის წესრიგში პარტიის გენმდივნის არჩევის საკითხი. და ვინ უნდა ყოფილიყო ის ბედნიერი, თუ არა მიხეილი. ოღონდ მაჭავარიანი, სააკაშვილი იმ დროს საკრებულოს თავმჯდომარე იყო და სახურავებზე დაქროდა.

პარტიის გენმდივანი კი გოკა გაბაშვილი გახდა. ამაზე პარტიაში პატარა უთანხმოებაც მომხდარა. ასე იყო თუ ისე მიხეილ მაჭავარიანი მაშინ მეორე წრეზე ვერ წავიდა. სამაგიეროდ ახლა მიეცა ამის შანსი. ვერაფერს იტყვი, ეს მიშა ძალიან მაგარია!!!

# სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს განცხადება

ვაცნობიერებთ რა, რომ ქვეყანაში ყოველდღიურად ძლიერდება ავტოკრტარული რეჟიმი, რაც შეუძლებელს ხდის რეალურად თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, „სახალხო კრება“ ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ ხელისუფლება არ შეცვლის საარჩევნო გარემოს, ვინაიდან სწორედ თავისუფალი და დემოკრატიული საარჩევნო გარემოა უპირველესი საფრთხე ნებისმიერი ავტოკრატი და დიქტატორი მმართველისათვის. ამიტომ, აუცილებელია წარიმართოს სერიოზული პოლიტიკური ბრძოლა თავისუფალი საარჩევნო და დემოკრატიული გარემოს მოსაპოვებლად .

„სახალხო კრება“, როგორც ეროვნულ და დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებული, ზეპარტიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანიც არის ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სისტემური ცვლილებების მიღწევა და თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების მოპოვება, მიმართავს ყველა ოპოზიციურ ძალას, პირველ რიგში, „ქართულ ოცნებას“, რომლის პოლიტიკურ არენაზე გამოჩენას დიდი იმედით შეხვდა ქართული საზოგადოება, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რიგით მოქალაქეებს, გავერთიანდეთ ერთიანი ფრონტით ქვეყნის დამნაშავე ხელისუფლებისაგან გასანთავისუფლებლად და ქვეყნის გადასარჩენად.

ამ მიზნით, „სახალხო კრებაში“ წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიები, საჭიროების შემთხვევაში, მზად არიან პირველები წავიდნენ დათმობაზე და ამ ეტაპზე, უარი თქვან პირად ამბიციებზე, მათ შორის საპარლამენტო და ნებისმიერ სხვა თანამდებობაზე. დღეს უმთავრესია ხელისუფლების ჩამოშორება საარჩევნო პულტიდან, ხოლო შემდეგ ქართველი ხალხი გადაწყვეტს, თუ რომელ პოლიტიკოსს და პოლიტიკურ ძალას აირჩევს და ჩააბარებს ქვეყნის მართვის სადავეებს.

„სახალხო კრება“ კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ მსოფლიო პოლიტიკურ ისტორიაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ავტოკრატულ და დამნაშავე რეჟიმს ნებაყოფლობით დაეთმოს ხელისუფლება დემოკრატიული ძალებისათვის. საქართველოშიც, დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე მშვიდობიანი გამარჯვების ერთადერთი ფორმულა ერთიანი, ძლიერი ოპოზიციური ფრონტის შექმნაა.

ერთიანი ოპოზიციური ფრონტის მთავარი მიზანი უნდა იყოს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხელისუფლების დამარცხება და კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვება, რის შემდეგაც ექვსი თვის ვადაში, ვადამდელი არჩევნების დანიშვნამდე, გატარდება ყველა საჭირო საკანონმდებლო და პოლიტიკური ცვლილება საარჩევნო გარემოს რეალური გაუმჯობესებისა და კონკურენტული გარემოს შექმნისათვის, ესენია:

1. პოლიციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დეპოლიტიზაცია და ჩამოშორება საარჩევნო პროცესისაგან;
2. სასამართლოს დამოუკიდებლობა;
3. ბიზნესის გათავისუფლება ხელისუფლების ზეწოლისაგან;
4. ცვლილებები ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფორმირებასა და საარჩევნო კანონმდებლობაში;
5. მოსახლეობის აღწერა და რეალური საარჩევნო სიების ჩამოყალიბება;
6. მედიის გათავისუფლება ზეწოლისა და ტერორისაგან;
7. პოლიტიკური და უკანონო პატიმრების უპირობო გათავისუფლება.

ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებების გატარების შემდეგ, ქვეყანაში უნდა ჩატარდეს თავისუფალი, გამჭვირვალე და სამართლიანი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.

„სახალხო კრება“ აცხადებს, რომ ჩვენ გამოვრიცხავთ რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციასთან შეერთებას, მით უფრო შერწყმას.

ჩვენი მიზანია ყველანი გავერთიანდეთ რეჟიმთან საბრძოლველად!

„სახალხო კრება“ კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ დღეს არ არის ოპოზიციურ ძალებს შორის დაპირისპირების და ხელოვნური ბარიერების შექმნის დრო. დღეს ყველა რეალურად ოპოზიციური ძალის მიზანი უნდა იყოს დამნაშავე რეჟიმთან ბრძოლა და არა ბრძოლა პოლიტიკურ კონკურენტებთან.

„სახალხო კრება“ სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ერთიანი ოპოზიციური ფრონტია დღეს გამარჯვების რეალური შანსი და თუ ამ შანსს ხელიდან გავუშვებთ, წაგებული დარჩება ჩვენი სამშობლო, მთელი მისი მოსახლეობა და ქვეყანაში დიდი ხნით გამყარდება დიქტატურა!

გავერთიანდეთ!

ყველანი – დამნაშავე რეჟიმის წინააღმდეგ!

ეს არის დღეს ქვეყნის გამარჯვების ერთადერთი ფორმულა.

2012 წლის 12 მარტი

# ჯემალ გამახარია: ანქვაბთან მოლაპარაკებებს აზრი არა აქვს“

## ვინ აკვირდებოდა არჩევნებს აფხაზეთში

გულიკო ბალაძე

### ინტერვიუ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ჯემალ გამახარიასთან

***– ბატონო ჯემალ, აფხაზეთში ე.წ. არჩევნები ჩატარდა, სადაც, როგორც გახმოვანდა, დამკვირვებლებად ჩამოვიდნენ იმ კვაზი ქვეყნებიდან, რომლებმაც რუსეთის მოსყიდვით თუ გარიგებით აღიარეს არ არსებული „ქვეყანა“. დამკვირვებლები იყვნენ ასევე საფრანგეთში, იტალიასა და ლიტვაში მოქმედი ორგანიზაციებიდან. თქვენ როგორ აფასებთ ამ პროცესს?***

– აფხაზეთში ოფიციალური დელეგაცია არც ერთი ქვეყნიდან არ ჩამოსულა. ცალკეული ცნობისმოყვარე ადამიანი თუ დაესწრება იქ მიმდინარე ე.წ. არჩევნებს, ეს არაფერს ნიშნავს. აფხაზეთში დასავლეთიდან არანაირი დელეგაცია არ ჩამოსულა. კერძო პირებისა და რომელიღაც საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლის ჩამოსვლა, რომლებიც მაინცდამაინც დიდ როლს არ თამაშობენ არც მათ ქვეყნებში, არც საერთაშორისო მასშტაბით, მათი ჩამოსვლა არ ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა დაინტერესებული იყო, როგორ ჩატარდებოდა აფხაზეთში არჩევნები. ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ტერიტორიაზე, სადაც განხორციელდა ეთნოწმენდა და სადაც მოსახლეობის 75-80% დევნილია, გააძევეს ამ ტერიტორიიდან, რანაირი არჩევნებიც არ უნდა ჩატარდეს, ყოველთვის აღიარებული იქნება არალეგიტიმურად. აქამდე ჩატარებული ყველა ე.წ. არჩვენები აღიარებული იყო არალეგიტიმურად და მომავალშიც არალეგიტიმურად იქნება ცნობილი, სანამ ეს მდგომარეობა გაგრძელდება. ეს იყო მორიგი ფარსი, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, საერთაშორისო საზოგადოებრიობა სათანადო შეფასებას მისცემს. რამდენადაც ვიცი, ცალკეულმა პიროვნებებმა უკვე მოახდინეს შეფასება, რომ იქ არავითარი ლეგიტიმური არჩევნები არ შემდგარა და არც შეიძლებოდა შემდგარიყო ამ ვითარებაში.

***– ანუ ეს არის მორიგი პროცესი, როდესაც თვითონ იქ დარჩენილი აფხაზები, სეპარატისტები რაღაც რეჟიმის პირობებში ირჩევენ თავიანთ ხელმძღვანელს?***

– დიახ. ეს არის მოცემულ ტერიტორიაზე საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები. თუმცა, რა თქმა უნდა, ვიღაცისთვის, ალბათ, საინტერესოა, თუნდაც ამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არჩევნები როგორ ტარდება. შეიძლება ზუსტი ინფორმაცია არ მქონდეს, გუდაუთაში როგორ ტარდება არჩევნები, მაგრამ აქეთ, გალის რაონში როგორ ტარდება, ეს ხომ ძალიან კარგად ვიცით. გალში არ არსებობს ამომრჩეველთა სიები, არ არსებობს საარჩევნო უბნები, რაღაც უბნების მსგავსი შეიძლება ამ ე.წ. არჩევნების დღის, ან გუბით და გუშინწინ გაიხსნა, მაგრამ ეს არის სუფთა ფორმალობა. ამას უბნის გახსნა არ ჰქვია. უბრალოდ, უნდათ დაავიწყინონ, რომ გალში ჩატარდა არჩევნები, აგერ აბრა ჰკიდია, თითქოს საარჩევნო უბანია და მორჩა, არავითარი საარჩევნო სიები, მოსამზადებელი პერიოდი, წინასაარჩევნო კამპანია, რომელიც არჩევნებს ახლავს თან, იქ არ არსებობს.

***– ინფორმაცია იყო, გალში დაბალი აქტივობააო.***

– გალში დაბრუნებული მოსახლეობაც კი არ მონაწილეობს ამ ე.წ. არჩევნებში. რა დარჩა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობიდან? მაქსიმუმ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 15-20% თუ მიიღებს მონაწილეობას. ამას არავინ არ აპიარებს, ეს ცალსახაა.

***– აფხაზებს რომც უნდოდეთ ნორმალური და ლეგიტიმური არჩევნების ჩატარება, რუსეთის საოკუპაციო ჯარების პირობებში რამდენადაა შეძძლებელი ეს? ლეგიტიმური არჩევნები რომ ჩაატარონ, ქართველი მოსახლეობა უნდა შეუშვან.***

– ლეგიტიმურ არჩევნებს, უპირველეს ყოვლისა, ამომჩეველი სჭირდება. ამომრჩევლების გარეშე ჩატარებული არჩევნები, რა თქმა უნდა, ლეგიტიმური ვერ იქნება. აფხაზეთში ტარდება „არჩევნები“ ამომრჩევლების გარეშე. მით უმეტეს, ოკუპაციის პირობებში, როცა იქ დგას რუსის ჯარი და ყველაფერ ამას დამატებით აკონტროლებს.

***– ბატონო ჯემალ, ახლახან ჩვენს ამომრჩეველთა სიაში აღმოაჩინეს ნახევარ მილიონამდე არ არსებულ ადამიანთა გვარები. ჩვენი პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იქაც არ იქნება ამ მხრივ კარგი მდგომარეობა. თუ გაქვთ ინფორმაცია, აფხაზეთში ამომრჩეველთა სიები ყალბდება?***

– რა თქმა უნდა, ინფორმაცია გვაქვს. აფხაზეთში თვით რუსების აღიარებითაც კი, გალის რაიონის ჩათვლით, მაქსიმუმ 150 ათას კაცზე მეტი არ ცხოვრობს, მაგრამ, როცა ისინი არჩევნებს ატარებენ, ყოველთვის ამბობენ, რომ მათი მოსახლეობა შეადგენს 220-250-მდე მოსახლეს. შემდეგ, აქედან გამომდინარე, გამოჰყავთ ამომრჩეველთა რაოდენობა. აი, აქ არის გაყალბება. აფხაზეთიდან მხოლოდ ქართველები ხომ არ გასულან, თვით აფხაზებიც წავიდნენ. როგორც ამბობენ, ფაქტობრივად, აფხაზების ნახევარი იქიდან წასულია. არჩევნებისთვის ხომ არ ჩამოვა, მაგრამ სიაში ყველა ირიცხება და ამბობენ, ამდენმა მიიღო მონაწილეობა, ესეც, რა თქმა უნდა, ტყუილია. ჯერ ერთი, ზოგადად, იმ პროცესში მონაწილეობა ყველამ ერთად რომ მიიღოს, ის მაინც არალეგიტიმურია, მაგრამ იმ არალეგიტიმურ არჩევნებსაც ძალიან დიდი დარღვევებით და გაყალბებებით ატარებენ, რომ რამენაირად არჩევნებს მიამსგავსონ.

***– ამ ე.წ. არჩევნებში მონაწილეობს ორი ქართველი, როგორც ე.წ. დეპუტატობის კანდიდატი...***

– ყოველთვის ასე ხდება. ორ ან მაქსიმუმ სამ ქართველს თუ ირჩევენ იმ მიზნით, რომ ე.წ. სახალხო კრების შემადგენლობაში.

***– რის გაკეთება შეუძლია იმ ორ ქართველს იმ ე.წ. პარლამენტში?***

– აბსოლუტურად არაფერის. ეს სეპარატისტებისა და ოკუპანტების პოლიტიკაა, რომ თქვან, აი, ხომ ხედავთ, არჩევნებში ქართველებიც მონაწილეობენ და სახალხო კრების შემადგენლობა მრავალეროვანიაო. მასში შედიან აფხაზები, რუსები, სომხები და თვით ქართველებიც კი აგერ არიან ჩვენთანო. რა უნდა გადაწყვიტოს ორმა დეპუტატმა. თანაც აფხაზები ისეთ ქართველებს ირჩევენ, რომლებსაც შეიძლება გვარი და პასპორტი აქვთ მხოლოდ ქართული და მეტი არაფერი.



ჯემალ გამახარია

***– თუმცა, გვარით ქართველი იქ ბევრია, ქართველად ჩაწერილი კი – ორი. საინტერესოა, თავიანთი თავის თვითრეალიზაციას თუ ახდენენ?***

– ეს არის შირმა, რომ სეპარატისტებმა და ოკუპანტებმა თავიანთი შოვინისტურ-რასისტული და თავიდან ბოლომდე ანტიქართული პოლიტიკა რომ შენიღბონ და თქვან: აგერ გვყავს ქართველები, დეპუტატები არიანო.

***– ცოტა ხნის წინ, რუსეთის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა აფხაზეთში, ანუ რუსეთის სახელმწიფომ თავისი საპრეზიდენტო არჩევნები ჩაატარა ამ ტერიტორიაზე და თან აცხადებს, თითქოს ის არის დამოუკიდებელი. პარადოქსი ისაა, ამ ვითომ დამოუკიდებელი ქვეყნის ე.წ. პრეზიდენტმა ანქვაბმა განაცხადა, რომ პუტინს მისცა ხმა. იქნებ ახსნათ, რანაირად არის დამოუკიდებელი?***

– შეიძლება პუტინმა რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნები 4 მარტს სპეციალურად დაამთხვია. 4 მარტი ეს არის აფხაზეთის გასაბჭოების დღე. ჩვენ რომ 25 თებერვალი „ვიზეიმეთ“, როგორც ოკუპაციის კვირეული, ისეთი კვირეული უნდა გაგრძელებულიყო 4 მარტის ჩათვლით, რადგან 4 მარტს ოკუპანტებმა სოხუმი აიღეს.

***– ანუ ამით 1921 წელს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია დაასრულეს.***

– წარსულის ოკუპაციის დღეს, ახლანდელმა საოკუპაციო რეჟიმმა ამ აქტითაც (რასაც აფხაზეთის ტერიტორიაზე ვითომ რუსეთის პრეზიდენტის არჩევნები ჰქვია) მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ აფხაზეთი მართლა ოკუპირებული ტერიტორიაა. ეს იყო დამატებითი მტკიცებულება. თუ საჭიროა კიდევ დამატებითი მტკიცებულება, ეს მტკიცებულება ჩვენ 4 მარტს მივიღეთ.

***– ამაზე დიდი მტკიცებულება რა შეიძლება იყოს, როდესაც ამ ვითომ დამოუკიდებელი ტერიტორიული ერთეულის პირველი პირი გამოდის და ამბობს, რომ მან რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა და რუსეთის პრეზიდენტად პუტინი აირჩია?***

– პირველი პირი ამ ვითომ დამოუკიდებელი „სახელმწიფოს“, ფაქტობრივად, ამ „ქვეყნის“ მოქალაქე არ არის იმიტომ, რომ ამ ე.წ. „ქვეყნის“ მოქალაქეობას არავინ ცნობს. ანქვაბი საზღვარგარეთ სადმე რომ გავიდეს, რუსული პასპორტით გავა, როგორც რუსეთის მოქალაქე. რუსეთის მოქალაქეები მართავენ აფხაზებს. ამიტომ მოგონილი კი არ არის, რომ ვამბობთ, ეს არის საოკუპაციო რეჟიმი. არ აქვს მნიშვნელობა, რა ეროვნებისაა. ჩვენთანაც ქართველები იყვნენ, ფაქტობრივად, ე.წ. რევკომის შემადგენლობაში, რომელმაც თბილისში 1921 წელს ხელისუფლება ჩაიბარა, მაგრამ ეს იყო სუფთა წლის საოკუპაციო რეჟიმი. არსობრივად, ზუსტად იგივე რეჟიმია დღეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში. ანქვაბს შეეძლო ჩუმად მიეცა ხმა და არაფერი ეთქვა, იმის აფიშირება საერთოდ არ მოეხდინა და მსოფლიოსთვის კიდევ ერთხელ არ ეჩვენებინა, რომ ის სუფთა მარიონეტი და საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენელია.

***– ისე, დასაფასებელია, ანქვაბმა ეს რომ აღიარა.***

– ეს განცხადება პირდაპირ უკავშირდება ტერორისტულ აქტს, რომელიც ანქვაბის წინააღმდეგ განხორციელდა. ცოტა ვინმეს თუ ეპარება ეჭვი, რომ ბოლო ტერორისტული აქტიც, რომელიც ანქვაბის წინააღმდეგ განხორციელდა, რუსეთის ჩადენილია, მაგრამ მისი ფიზიკური განადგურება არ უნდოდა. რუსეთს ანქვაბის ფიზიკური განადგურება რომ სდომებოდა, ამას ძალიან მარტივად გააკეთებდა, რუსების მხრიდან ანქვაბის განადგურებას დიდი ძალისხმევა არ დასჭირდებოდა, მაგრამ ტერორისტული აქტი, ფაქტობრივად დაშინების აქტი იყო. ანქვაბს სულ აშინებენ, გამოხვალ გარკვეული ჩარჩოებიდან და... მას ტერორისტული აქტებით მუდმივად აფრთხილებენ. ამ დაშინებულმა კაცმა უთხრა მას, ვინც ტერორისტული აქტი მოუწყო, მე შენ მოგეცი ხმაო. მე ანქვაბი შემეცოდა. მას კარგად ვიცნობ და ადამიანურად შემეცოდა. დაშინებულმა კაცმა გააკეთა განცხადება, მე შენ მოგეცი ხმა, ნუ მომიწყობ ტერორისტულ აქტს და ნუ მომკლავო.

***– ანქვაბს პირადად იცნობთ?***

– რასაკვირველია, ჩვენ უმაღლეს საბჭოში ერთად ვიყავით დეპუტატები და ძალიან ნორმალური ურთიერთობა გვქონდა.

***– ანქვაბის მაშინდელ განწყობებზე შეგიძლიათ რაიმე გვითხრათ?***

– ანქვაბი არძინბას გუნდის წევრად ითვლებოდა, მაგრამ ისეთი რადიკალი არ იყო, როგორც სხვები. რაც მართალია, მართალია, ანქვაბთან დიალოგი შეიძლებოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი მომხრე იყო და ჩვენს პოლიტიკას იზიარებდა. თუმცა, გაწონასწორებული, ძალიან საღად მოაზროვნე ადამიანი გახლდათ, რომელთანაც დიალოგი შესაძლებელი იყო.

***– როდესაც ბაღაფშის შემდეგ ანქვაბის ე.წ. არჩევნები ტარდებოდა, მაშინ ითქვა, თითქოს ის ომის დროს ქართულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა. ამ განცხადებას სიმართლესთან რაიმე კავშირი შეიძლება ჰქონდეს?***

– ეს განცხადება გააკეთა კიტოვანმა მოსკოვში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მას დაავალეს ასეთი განცხადება გააკეთეო. ამით უნდოდათ მოეხდინათ ანქვაბის დისკრედიტაცია და შამბასთვის გაეხსნათ გზა დე ფაქტო პრეზიდენტის სავარძლის დასაკავებლად. გამორიცხულია ანქვაბი ყოფილიყო ქართული სპეცსამსახურების თანამშრომელი, მაგრამ აქ მეორე მომენტია – პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ანქვაბი მაშინაც იქცეოდა ისე, როგორც ვაჟკაცს შეეფერება. ის სეპარატისტების ინტერესებს იცავდა, მაგრამ ისეთი დაუნდობელი არ იყო, როგორც სხვები. ძალიან ბევრმა ტყვედჩავარდნილმა ქართველმა სიცოცხლე სწორედ ანქვაბის წყალობით შეინარჩუნა.

***– შეიძლება ამას გულისხმობდნენ...***

– ეს არ ნიშნავს აგენტობას. ჩვენი მხრიდან ძალიან ბევრ ტყვედ ჩავარდნილ აფხაზს შეუნარჩუნდა სიცოცხლე, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, ვინც ტყვები გადაარჩინა, სეპარატისტების სპეცსამსახურების თანამშრომელია.

***– ისე, მოსკოვისთვის სანდო უფრო შამბა იყო?***

– მოსკოვი მაინც არ ენდობოდა ბატონ ანქვაბს, არ ენდობა დღესაც და ბოლო ტერორისტული აქტი სწორედ ამის გამო მოუწყო. ტერორისტული აქტი მოუწყეს, რომ უფრო მორჩილი იყოს და ის მოთხოვნები, რომელიც რუსეთს აქვს, ყველა დააკმაყოფილოს. რუსეთის მოთხოვნებია მიწების გაყიდვა, ბინების გაყიდვა, საშენი მასალების გატანა აფხაზეთიდან.

***– აფხაზეთიდან საშენი მასალები კიდევ გააქვთ თუ შეაჩერა ანქვაბმა?***

– საშენი მასალების გატანა კიდევ გრძელდება. ეს ყველაფერი ანადგურებს ადგილობრივ უნიკალურ ეკოსისტემას, მაგრამ რუსები მაინც აგრძელებენ თავისას. იქ იყო შეწინააღმდეგების მცდელობა ანქვაბის მხრიდან, მაგრამ მას ტერორისტული აქტით ჭკუა ასწავლეს. ამიტომ შემდეგ წამოიყვირა კაცმა არჩევნებზე, მე შენ მოგეცი ხმა და ნუ მომკლავო.

***– ერთ დროს საუბრობდნენ იმაზე, რომ ანქვაბის პირობებში შესაძლებელი იყო მოლაპარაკებები.***

– გამორიცხულია. ამის ილუზია არავის აქვს. მოლაპარაკება შეუძლებელი იქნება, სანამ იქ დგას საოკუპაციო ჯარი. ამ ტერიტორიას რუსეთი და მისი საოკუპაციო ჯარი განაგებს. ვინც არ უნდა მოვიდეს დე ფაქტო ხელისუფლების სათავეში, ის გააგრძელებს საოკუპაციო პოლიტიკას. ზოგი მეტი მონდომებით გააგრძელებს, ზოგი – ნაკლები მონდომებით, მაგრამ გააგრძელებს საოკუპაციო პოლიტიკას.

# შსს-მ და პროკურატურამ ყინწვისის სპეცოპერაციის კვალი წაშალა

## რატომ არ ათავისუფლებენ დაკავებულებს და არ მოსთხოვეს პასუხი ვალერი გელბახიანს?

შალვა ჯოხაძე

**მოვითხოვთ ყინწვისის სპეცოპერაციისას დაკავებული პატიმრების გათავისუფლებას, — ეს მოთხოვნა საზოგადოებრივმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა დააყენეს. მოთხოვნას ხელს აწერენ ორგანიზაციები: ადამიანის უფლებათა ცენტრი; კონსტიტუციის 42-ე მუხლი; საზოგადოების კვლევის ცენტრი; ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი; ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის; საზოგადოებრივი დამცველი; სოლიდარობა უკანონო პატიმრებს; „კანონი ხალხისათვის“; კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი და სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო.**

— საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაციები გამოვხატავთ შეშფოთებას და ვაპროტესტებთ 2011 წლის 26 მაისს ყინწვისში დაკავებული ადამიანების კონსტიტუციური უფლებების შელახვას, რაც აშკარად იკვეთება მათ წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლისას. განსაკუთრებით შემაშფოთებელია დაკავებულთა გაუჩინარების, წამებისა და კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების უხეში დარღვევები როგორც წინასწარი, ისე სასამართლო გამოძიების ეტაპზე, — აცხადებენ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ისინი შეგვახსენებენ, რომ 2011 წლის 26 მაისს, დილით ყინწვისის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე შსს-ს თანამშრომლებმა 24-კაციანი დაჯგუფება დააკავეს. დაკავების მიზეზად დასახელდა შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების შესაცვლელად. სპეცოპერაცია ფართოდ გაშუქდა ტელევიზიებით და გავრცელდა თითქოსდა სპეცოპერაციის დროს ამოღებული იარაღის ვიდეოკადრები. შსს-ს მაღალჩინოსნები სიუჟეტებში აცხადებდნენ, რომ დაკავებულები ამზადებდნენ შეიარაღებულ სახელმწიფო გადატრიალებას. ორგანიზაციების წარმომადგენელთა თქმით, შეშფოთებას იწვევს „ყინწვისის საქმის“ შემდგომი განვითარება. კერძოდ, ყინწვისის სპეცოპერაციის შესახებ შსს-ს საიტზე თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2011 წლის 26 მაისს შსს-ს თანამშრომლებმა ყინწვისში დააკავეს შეიარაღებული დაჯგუფება 24 კაცის შემადგენლობით და ბრალდებულებმა დაკავებისას პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს...



— დღეისათვის ასეთი შინაარსის ინფორმაცია შსს-ს საიტზე აღარ დევს, ხოლო პროკურატურა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, საერთოდ უარყოფს ყინწვისის სპეცოპერაციას. სასამართლო პროცესზე პროკურატურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყინწვისში არავითარი სპეცოპერაცია არ ყოფილა და ბრალდებულებიც არა ყინწვისში, არამედ თბილისში დააკავეს.

სისხლის სამართლის საქმის მასალებში „ეროვნულ სარწმუნოებრივი მოძრაობის“ ლიდერის, ნიკოლოზ გოგუაძისა და სხვა ბრალდებულების დაკავების ვადის ათვლა დაწყებულია არა ყინწვისში დაკავების მომენტიდან, არამედ თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში მიყვანიდან. როგორც მასალების შესწავლისას იკვეთება, სინამდვილეში, ნიკოლოზ გოგუაძე და სხვა ბრალდებულები მართლაც ყინწვისში დააკავეს, ოღონდ სპეცოპერაცია სერიოზული დარღვევებით ჩატარდა – ისე, რომ ადგილზე არც შესაბამისი ოქმი და სხვა დოკუმენტაცია არ შეუდგენიათ. ეს საბუთები პოლიციამ მეორე დღეს – 27 მაისს თბილისში შეადგინა და სიტუაცია ისე წარმოაჩინა, თითქოს მათი დაკავება მოხდა ამ დროს თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში. საქმის მასალებში აღნიშნულია, რომ 24 ადამიანი ყინწვისიდან თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში იძულებით კი არ მიიყვანეს, არამედ საკუთარი სურვილით მივიდა „მოწმის სტატუსით“, – ნათქვამია საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართვაში.

თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულებს იარაღის მთელი არსენალი ჰქონდათ და შეიარაღებულ გადატრიალებას ამზადებდნენ. სინამდვილეში, სასამართლოზე წარმოდგენილი საქმის მასალების მიხედვით, 24 დაკავებულს შორის იარაღი მხოლოდ ერთს, ამჟამად უკვე გასამართლებულ ყოფილ პოლიციელს, მიხეილ ცილიკაშვილს აღმოაჩნდა. იგი დაცვის სამსახურის წარმომადგენელი გახლდათ და კანონმდებლობის თანახმად, ტაბელური იარაღის შენახვის უფლება ჰქონდა. სასამართლო პროცესზე საქმეში სხვა არანაირი იარაღი არ ფიგურირებდა. ორგანიზაციების წარმომადგენლები სვამენ ლოგიკურ კითხვას, რაზეც პროკურატურამ სასამართლო პროცესზე პასუხი ვერ გასცა: თუკი ბრალდებულებს იარაღი არ ჰქონდათ, როგორ აპირებდნენ შეიარაღებული გადატრიალების მოწყობას?

— დაკავებულებს აღენიშნებოდათ სხეულის მძიმე დაზიანებები, განსაკუთრებით – ნიკოლოზ გოგუაძეს, რომელიც სასტიკად იყო ნაცემი და ნაწამები. ეს კარგად ჩანს იმ ე.წ. აღიარებით ვიდეოჩვენებაშიც, რომელიც ოპერატიულად გაავრცელეს ხელისუფლების მიერ კონტროლირებულმა ტელევიზიებმა. ამ კადრებში ნიკოლოზ გოგუაძეს უჭირს ლაპარაკი, სახესა და თითებზე ეტყობა მძიმე დაზიანებებისა და წამების კვალი, დათრგუნულია ფსიქოლოგიურად.

აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზ გოგუაძეს 26 მაისს ღამის 12 საათიდან 27 მაისის დილის 6:10 საათამდე ჰკითხავდნენ. 6:12 წუთზე კი გამომძიებელმა, როგორც ბრალდებული, ისე დააკავა. მანამდე იმავე გამომძიებელმა თვითონვე დააფიქსირა, რომ დაკავებულს აღენიშნებოდა სისხლჩაქცევები სახესა და სხეულზე, ასევე – მენჯის დაზიანება. სასამართლო პროცესზე ნიკოლოზ გოგუაძის ადვოკატმა ბესარიონ ქარცივაძემ გამომძიებელს ჰკითხა, რატომ დაკითხა ასეთ მდგომარეობაში მყოფი პატიმარი. პასუხად მიიღო, რომ დაკითხვის პროცესში მას დაზიანებები არ ეტყობოდა. არადა, როგორც აღვნიშნეთ, დაკითხვამდე ოქმში თავად აქვს დაფიქსირებული ეს დაზიანებები.

შემაშფოთებელია, რომ გოგუაძის გარდა, სხეულის დაზიანებები და წამების კვალი აღენიშნებოდათ სხვებსაც. თუმცა, მას შემდეგ, რაც პროკურატურასთან ითანამშრომლეს და საპროცესო გარიგება გააფორმეს, ჩვენებაში დააფიქსირეს, რომ მათ თითქოს კი არ სცემეს, არამედ დაზიანებები ყინწვისში ყოფნისას ზოგმა ხეზე ფეხის წამოკვრით, ზოგმა მანქანაზე თავის ჩამორტყმით და ზოგმა წაქცევით მიიღო, – აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

არასამთავრობოების თქმით, საბოლოო ჯამში, გოგუაძისა და კეშელავას გარდა, ყველა დაკავებულმა პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა. თუმცა, ამის მიუხედავად, განსაკუთრებული შეღავათი არც ერთს არ უგრძვნია. დამატებით სასჯელად პირობითი მსჯავრი ყველას შეეფარდა, ერთს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, უმრავლესობას კი 4-5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

უფრო კონკრეტულად: ბადრი ელდარის ძე ჩიგოგიძეს მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, ბაქარ ელდარის ძე ჩიგოგიძეს – 5 წლით, ბორის ბონდოს ძე გურულს – 4 წლით, გიორგი ვასილის ძე ალაჯანაშვილს – 4 წლით, გიორგი გოდერძის ძე ბეროშვილს – 4 წლით, დავით გიორგის ძე თუთარაშვილს – 5 წლით, დავით მიხეილის ძე შუკაკიძეს – 3 წლით, დავით ანტონის ძე ჩიტრეკაშვილს – 4 წლით, ვარლამ ჯემალის ძე ჩარკვიანს – 4 წლით, ზაზა ვიქტორის ძე გვიმრაძეს – 4 წლით, ზურაბ გივის ძე გელაშვილს – 4 წლით, ზურაბ ანტონის ძე ჩიტრეკაშვილს – 4 წლით, თეიმურაზ კარლოს ძე ცამბაიას – 5 წლით, ირაკლი თამაზის ძე ჩარბაძეს – 4 წლით, კახაბერ ნუგზარის ძე თოდაძეს – 4 წლით, მამუკა ჯემალის ძე ბესელიას – 4 წლით, მახარე დავითის ძე სისაურს – 4 წლით, მიხეილ არსენის ძე მაისურაძეს – 4 წლით, მიხეილ ავთანდილის ძე ცილიკიშვილს – 4 წლით, რამაზ ზაალის ძე ღვალაძეს – 5 წლით, ჯემალ ბუდიკოს ძე გუნდიშვილს – 4 წლით, ჯემალ აკაკის ძე სურამელაშვილს – 4 წლით.

2011 წლის 12 აგვისტოს ნიკოლოზ გოგუაძისა და ოლეგ კეშელავას სასამართლო პროცესიც დასრულდა. ნიკა გოგუაძეს ორი ბრალდების – შეთქმულების მოწყობისა და იარაღის უკანონოდ ტარების საფუძველზე, 12 წლით პატიმრობა მიესაჯა, ოლეგ კეშელავას კი – 8 წლით. ნიკოლოზ გოგუაძე თავს დამნაშავედ არ ცნობს.

პატიმრების დიდი ნაწილი თავს პოლიტპატიმრად მიიჩნევს, მეორე ნაწილი კი, საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემდეგ, ძირითადად, დუმილს ამჯობინებს. ეს უკანასკნელები ფიქრობენ, რომ ამ საქმის დეტალების გახმაურებით და პრეტენზიების გამოთქმით კიდევ უფრო დაიმძიმებენ მდგომარეობას.

— მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტელევიზიებით გავრცელებულ ინფორმაციებში სახელმწიფო გადატრიალების დამკვეთებად სახელდებოდნენ მოსკოვში მცხოვრები ყოფილი თანამდებობის პირები, რომლებსაც თითქოსდა ამ ჯგუფთან დანაშაულებრივი კავშირი ჰქონდათ. შსს-მ ისე წარმოაჩინა, რომ 2011 წლის მაისის საპროტესტო აქციების დროს რუსეთის სპეცსამსახურები ამ ჯგუფის დახმარებით გეგმავდნენ შეიარაღებულ გადატრიალებას. გავრცელებულ ინფორმაციებში ყინწვისში დაპატიმრებულთა ხელმძღვანელებად ფიგურირებდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების ყოფილი მინისტრები – თემურ ხაჩიშვილი და იგორ გიორგაძე, „რუსი და ქართველი ხალხების ერთობის“ ფონდის პრეზიდენტი, ვლადიმერ ხომერიკი, ყოფილი დეპუტატი ვალერი გელბახიანი, რომელიც იმ დროს სულ სხვა საქმეზე იძებნებოდა და რუსეთს აფარებდა თავს. არც ერთი ეს პირი შემდგომში სისხლის სამართლის საქმის მასალებში აღარ ფიგურირებს. მათი სახელების გამოყენება შსს-ს მხოლოდ პიარისთვის დასჭირდა. მათზე არც ძებნაა გამოცხადებული და ცალკე წარმოებად არც სხვა საქმეა გამოყოფილი.

საინტერესოა, რომ ცოტა ხნის წინ, კერძოდ – 2012 წლის 20 თებერვალს შსს-მ დააკავა ვალერი გელბახიანი 2008 წლის ბრალდებასთან დაკავშირებით, რაზეც იგი იძებნებოდა. თუმცა, ამ საქმეს ყინწვისის სპეცოპერაციასთან არანაირი კავშირი არა აქვს. გელბახიანი კი გირაოს წესით სასამართლო დარბაზიდან მალევე გაათავისუფლეს ისე, რომ ყინწვისის საქმესთან დაკავშირებით მისთვის ბრალიც არ წაუყენებიათ.

აქედან გამომდინარე, საქმის მასალებიდან არ მტკიცდება მოსკოვში გადახვეწილი ყოფილი მაღალჩინოსნების კავშირი ყინწვისში დაკავებულ ადამიანებთან. შესაბამისად, არ არსებობს „შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების“ დამკვეთი და სავსებით შესაძლებელია, მსგავსი რამ არც იგეგმებოდა. უბრალოდ, ხელისუფლების მიზანი იყო პოლიტიკურად აქტიური ჯგუფის განეიტრალება და მათი დისკრედიტაცია, – აცხადებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ისინი საქართველოს ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს მიმართავენ და მოითხოვენ: 2011 წლის 26 მაისს ყინწვისში დაკავებული 24 ადამიანის მიმართ გამოტანილი განაჩენი ჩაითვალოს დაუსაბუთებლად და უკანონო პატიმრები გათავისუფლდნენ საპატიმროებიდან; დაისაჯონ ამ ძალადობრივი აქციის ინიციატორები და შემსრულებლები, რომლებმაც გადაამეტეს თავიანთ უფლებამოსილებას და ყინწვისის მონასტრიდან უსაფუძვლოდ გაიტაცეს ადამიანები – ისე, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში მათი ადგილსამყოფელი უცნობი იყო; ობიექტურად გაირკვეს, რა ვითარებაში მიიღეს სხეულის დაზიანებები ბრალდებულებმა და დაისაჯონ ის პირები, რომლებმაც ისინი აწამეს; დაისაჯონ ის პირები, რომლებმაც პროცესუალური ნორმების დარღვევით მიიღეს ე.წ. აღიარებითი ჩვენებები და შეცდომაში შეიყვანეს საზოგადოება; დაისვას იმ მოსამართლის დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი, რომელმაც აღნიშნულ საქმეზე განაჩენი გამოიტანა; თანამდებობიდან გათავისუფლდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ის თანამდებობის პირები, რომლებიც სამინისტროს ოფიციალური საიტისა და ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტელეარხების საშუალებით გამიზნულად ავრცელებენ დეზინფორმაციას საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით.

# პროფკავშირებსა და მთავრობას შორის სკანდალი მომწიფდა

## ამერიკის ადმინისტრაცია საქართველოს შრომის კოდექსით უკმაყოფილოა

**საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პროფკავშირებს შორის სკანდალი მომწიფდა. პროფკავშირების თავმჯდომარემ ირაკლი პეტრიაშვილმა ამერიკაში ყოფნისას შტატების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლებისგან მიიღო ინფორმაცია საქართველოს მთავრობის წევრებთან მათი შეხვედრის შესახებ, რომელიც 24 იანვარს ვაშინგტონში გაიმართა.**



ირაკლი პეტრიაშვილი

თამარ ნინიძე

როგორც პროფკავშირების ლიდერს აცნობეს, სწორედ პროფკავშირების არგუმენტების გათვალისწინებით მთავრობამ აიღო ვალდებულება და დადო პირობა, რომ შრომის კოდექსს შეცვლის.

პრესკონფერენციაზე ირაკლი პეტრიაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობამ აღნიშნულთან დაკავშირებით პროფკავშირების გაერთიანება და დამსაქმებელთა ასოციაცია საქმის კურსში არ შეიყვანა. შეხვედრაზე ამერიკის ხელისუფლების და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს შორის, პეტრიაშვილის ინფორმაციით, სამთავრობო დელეგაციის ზოგიერთი წევრი მხოლოდ პროფკავშირების დისკრედიტაციის მცდელობით შემოიფარგლა. ამერიკულმა მხარემ ქართული დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგი კაპანაძე, ნიკოლოზ გილაურის უფროსი მრჩეველი ვახტანგ ლეჟავა, ასევე პრემიერის მრჩეველი თამარ კოვზირიძე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების და პროგრამების დეპარტამენტის უფროსი მაია სიფრაშვილი, დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების კომიტეტის წარმომადგენელი ლაშა ახალაძე, დაარწმუნა საქართველოს პროფკავშირების მოთხოვნათა სამართლიანობაში და მის საქმიანობაში ჩაურევლობა მოსთხოვეს. ირაკლი პეტრიაშვილთან შეხვედრის დროს კი ამერიკელებმა გაოცება ვერ დამალეს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მთავრობას ამ დრომდე არ დაუწყია კონსულტაციები პროფკავშირებთან და მათი წარმომადგენლებისათვის აღებული ვალდებულების შესახებაც არ უცნობებია.

აღნიშნულ შეხვედრებზე განიხილეს ამერიკასა და საქართველოს შორის თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების პერსპექტივები, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა საქართველოში, საგარეო გამოწვევები და მოახლოებული არჩევნები. ამ შეხვედრის მთავარი გზავნილია ის, რომ საქართველო კომუნისტური მენტალიტეტის მსხვრევის პროცესიდან უნდა გადავიდეს რეალური დემოკრატიის მშენებლობაზე. ამერიკულმა მხარემ, ირაკლი პეტრიაშვილის თქმით, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოში ველური კაპიტალიზმია და დასაქმებულთა პირობები აბსოლუტურად დაუცველია. შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანა მთავრობის საქმეა, ირაკლი პეტრიაშვილი ეჭვობს, რომ პროექტი კანცელარიაში უკვე არის მომზადებული ვარიანტის სახით და განხილვას ელოდება პარლამენტში, მაგრამ რატომღაც ამ ვარიანტის შესახებ ინფორმაციას პროფკავშირებს არ აწვდიან. ამერიკულ მხარეს კი არ სურს ითანამშრომლოს და დადოს ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ქვეყანასთან, სადაც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს არღვევენ. ამერიკული მხარის რეკომენდაციით საქართველოს მთავრობამ აიღო თავზე ვალდებულება, რომ გამოასწოროს ხარვეზები შრომის კოდექსში და შესაბამისობასი მოიყვანოს შრომის საერთაშორისო კონვენციასთან.



## ფოტოკონკურსის გამარჯვებულები გამოვლინდნენ

გარემოს დაცვის სამინისტრომ სოციალური ქსელით ჩატარებული კონკურსის – „მწვანე კრეატივის“ გამარჯვებულები გამოავლინა.

ფოტოკონკურსში, რომელიც ერთი თვე მიმდინარეობდა, 2 500-ზე მეტმა მსურველმა მიიღო მონაწილეობა.

ფოტოკონკურსზე მწვანე თემატიკაზე გადაღებული ფოტოები იყო წარდგენილი. დაჯილდოების ცერემონიის პარალელურად, გარემოს დაცვის სამინისტროში 20 საუკეთესო ფოტოს გამოფენაც მოეწყო.

გამარჯვებულებს მინისტრმა გოგა ხაჩიძემ სამახსოვრო პრიზები გადასცა.

პირველ ადგილზე გასული ფოტოს ავტორს მარიტა როხვაძეს საჩუქრად ველოსიპედი გადაეცა, მეორე ადგილის მფლობელს პაატა ვარდანაშვილს – ფოტოაპარატი, ხოლო მესამე ადგილზე გასულ თიკო ბიბილაშვილს – სალაშქრო ზურგჩანთა.

ნიუსპრესი

## გამოკითხულთა 28,9%-ს მიაჩნია, რომ პუტინის გაპრეზიდენტება საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე ნეგატიურად აისახება



საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა 7,2 % მიიჩნევს, რომ რუსეთის პრეზიდენტად ვლადიმერ პუტინის არჩევა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე პოზიტიურად აისახება, გამოკითხულთა 28,9%-ს კი მიაჩნია, რომ ეს ორი ქვეყნის ურთიერთობებზე ნეგატიურად იმოქმედებს.

ხმის მიმცემთა უმრავლესობის – 56,6%-ის პოზიციით, ეს დამოკიდებულია საქართველოსა და რუსეთის მმართველ პირებზე. შეკითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი 7,2%-მა შეიკავა.

სააგენტო „ნიუსპრესის“ მიმდინარე საანალიზო კვირის გამოკითხვის თემა იქნება – „როგორ აისახება ოპოზიციის შემდგომ წარმატებებზე ბიძინა ივანიშვილის მიერ „სახალხო კრებასთან“ შეხვედრის დროს გაკეთებული განცხადებები“.

ნიუსპრესი

## შეიარაღებული ძალების სამხედრო-საინჟინრო ბრიგადას განაღმვითი აღჭურვილობა გადაეცა



საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო-საინჟინრო ბრიგადას 460 ათასი ევროს ღირებულების განაღმვითი აღჭურვილობა გადაეცა.

მესანგრეთა და განაღმვითი აღჭურვილობის შეძენა ნატო-ს პროექტის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ფონდის „ომის ფეთქებადი ნარჩენების გაწმენდისა და სამედიცინო რეაბილიტაციის პროექტის“ ფარგლებში მოხდა.

აღჭურვილობის გადაცემის დოკუმენტს ხელი „ნამსას“ (ნატოს უზრუნველყოფისა და მომარაგების სააგენტო) წარმომადგენელმა დევიდ თაუნდროუმ და თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნოდარ ხარშილაძემ მოაწერეს.

ღონისძიებას ვიცე-პრემიერი გიორგი ბარამიძე, ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ხელძღვანელი უილიამ ლაჰიუ და ესტონეთის ელჩი საქართველოში თომას ლუკი, ასევე, პროექტში მონაწილე ქვეყნების და დიპლომატიური კოპრუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აღნიშნული პროექტი საქართველოში 2010 წლის ოქტომბრიდან ხორციელდება.

ნიუსპრესი

# ვახტანგ იობაშვილი: საქართველოში აზბესტის შემოტანა უნდა აიკრძალოს

შორენა გონგლაძე

გასული წლის ნოემბერში ნავთობპროდუქტების იმპრტიორთა კავშირისა და ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა კონფერენცია, სადაც განხილული იყო საქართველოს ტერიტორიაზე აზბესტისა და აზბესტისშემცველი პროდუქციის შემოტანა და მასთან დაკავშირებული საკითხები. კონფერენციის მონაწილეებმა პრეზიდენტს წერილობით მიმართეს იმ იმედით, რომ ქვეყნის პირველი პირი ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემით დაინტერესდებოდა.

როგორც კონფერენციაზე ითქვა, მსოფლიოში აზბესტის ზემოქმედებას სამუშაო ადგილებზე განიცდის 125 მილიონი ადამიანი. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ყოველწლიურად აზბესტით განპირობებული დაავადებებით იღუპება 1000 ათასზე მეტი ადამიანი. როგორც ცნობილია, აზბესტის შემცველი პროდუქციის წარმოება ჩვენს ქვეყანაში უკვე თითქმის 20 წელია შეწყვეტილია, თუმცა მისი იმპორტი დღემდე ხორციელდება. მიუხედავად იმ მძიმე შედეგისა, რისი გამოწვევაც აზბესტს შეუძლია, აზბესტის შემცველი პროდუქცია აქტიურად გამოიყენება: მშენებლობაში, როგორც კონსტრუქციული, საიზოლაციო, საჰერმეტიზაციო, გადასახური საშუალება, ცეცხლგამძლე და მჟავეგამძლე მასაა სხვადასხვა ქსოვილების დასამზადებლად, ელექტროობაში, როგორც საიზოლაციო-საშუალება, ქაღადის წარმოებაში, ასევე გამოიყენება მანქანის სამუხრუჭე სისტემაში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ დადგენილია, რომ აზბესტით განპირობებული დაავადების აღმოსაფხვრელად ქვეყნები ვალდებული არიან შეიმუშაონ ეროვნული პროფილები, ხოლო შემდგომში ეროვნული პროგრამები.

რაც შეეხება იმას თუ რა შედეგები მოყვა კონფერენციის მონაწილეების მიერ პრეზდენტის სახელზე გაგზავნილ წერილს, როგორც მოსალოდნელი იყო, პრეზდენტის ადმინისტრაციამ წერილი განსახილველად გარემოს დაცვის სამინისტროს დააწერა. მოდით ვნახოთ როგორ რეაგირებენ პრეზიდენტის დავალებებზე სახელმწიფო უწყებები. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გარემოს დაცვის სამინისტროს წერილი 14 დეკემბერს გადაუგზავნა, ხაჩიძის უწყებას კი იმ არაკომპეტენტური და აბსურდული პასუხების მოსაფიქრებლად საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა, გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირში გაგზავნილი წერილი 9 იანვრით თარიღდება, რომელსაც მინისტრის მოადგილე, გიორგი ზედგენიძე აწერს ხელს. ჩვენთვის უცნობია, რომელმა „პროფესიონალმა“ შეადგინა აღნიშნული წერილის ტექსტი, მაგრამ ზედგენიძე მინიმუმ იმით მაინც უნდა დაინტერესებულიყო, რაზე იყო ლაპარაკი და მისი სახელით შედგენილ რამდენად დიდ სისულელეზე აწერდა ხელს, რადგან ამ შემთხვევაში ზედგენიძის გვარი ფიგურირებს და იმ დილეტანტიზმზე პასუხსაც მისგან ვითხოვთ.

მოკლედ, აი რა წერია ბატონი ზედგენიძის მიერ ხელმოწერილ წერილში: ზედგენიძის მიერ გამოგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ ჯანდაცვის მინისტრის ბრძანების (№133/ნ. 26.03.2001) შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია აზბესტის ბოჭკოს წარმოება, გამოყენება და იმპორტ-ექსპორტი. ასევე გაცნობებთ, რომ „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე არ არის დაშვებული აზბესტის მტვრისა და ბოჭკოს ნარჩენების იმპორტი და ტრანზიტი. ამასთან ერთად, სამინისტრო მზად არის ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობისათვის აზბესტთან დაკავშირებული პრობლემების განხილვასა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მომზადების მიზნით“, – ნათქვამია წერილში.

მოდით დავიწყოთ იმის განხილვა, თუ რამდენად კომპეტენტურია ამ შემთხვევაში ხაჩიძის მოადგილე ბატონი გიორგი ზედგენიზე. ჯერ ერთი, ყველაზე დიდი ტყუილია ის, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო არანაირი თანამშრომლობისა და მუშაობისთვის არ არის მზად. მეტიც, არანაირი გადაწყვეტილებების მიღების არც უნარი და არც შესაბამისი ცოდნა არ გააჩნიათ იმისთვის, რომ აღნიშნული საკითხის სიმძიმე შეაფასონ, იმიტომ, რომ ამ წერილის ავტორი არ ფლობს არანაირ თუნდაც ზედაპირულ ინფორმაციასაც კი აზბესტის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში სამი თვის შემდეგ მაინც დაინტერესდებოდა სამინისტრო ამ საკითხით და გამოთქვამდა სამუშაოებში ჩართვის სურვილს, რაც დღემდე არ ყოფილა. მეორეც, საკმაო ხნის განმავლობაში „ახალი თაობა“ ცდილობდა გარემოს დაცვის სამინისტროსგან მიეღო კითხვებზე პასუხი, რომელიც აღნიშნული წერილის გაცნობის შემდეგ გაჩნდა, თუმცა უშედეგოდ. კითხვებზე პასუხი ვერ მივიღეთ კითხვების შინაარსი კი ასეთი იყო: ნოემბრის თვეში ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ორგანიზებით ჩატარდა კონფერენცია, სადაც საუბარი იყო აზბესტთან დაკავშირებულ საკმაოდ სერიოზულ პრობლემებზე. მიუხედავად მოწვევისა, კონფერენციას არ დაესწრო გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი. რატომ არ დაინტერესდა გარემოს დაცვის სამინისტრო აღნიშნული პრობლემით? ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის მიერ თქვენდამი გამოგზავნილი წერილის პასუხად თქვენ მიერ ნათქვამია, რომ „საქართველოს ტერიტორიაზე წარმოების, გამოყენების და იმპორტ-ექსპორტის აკრძალვის ან მკაცრად შეზღუდულ გამოყენებას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით არის შეჩერებული აზბესტის შემცველი ბოჭკოს იმპორტ-ექსპორტი, თუმცა მინდა გითხრათ, რომ აღნიშნული ბრძანება ისევ ჯანდაცვის მინისტრის მორიგი ბრძანებითაა შეჩერებული, რატომ არ არის თქვენი სამინისტრო სწორად ინფორმირებული? (რას შეიძლება მივაწეროთ, არაპროფესიონალიზმს თუ დაკისრებული მოვალეობისადმი გულგრილ დამოკიდებულებას?) თქვენს წერილში ასევე ნათქვამია, რომ მზად ხართ ითანამშრომლოთ ამ საკითხებით დაინტერესებულ მხარესთან, მოეწყო თუ არა თუნდაც ერთი შეხვედრა ამ საკითხზე მომუშავე ჯგუფის რომელიმე წევრთან? თუ დაინტერესდებით ამ საკითხით და რა ქმედით ღონისძიებებს გაატარებს თქვენი სამინისტრო ამ პრობლემის მიმართ? – აი, ეს არის ის კითხვები, რომელსაც გარემოს დაცვის სამინისტრო კარგა ხანია პასუხს არ თუ ვერ სცემს.



რაც შეეხება ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის პოზიციას, კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ იობაშვილი ამბობს, რომ

– ჩვენ მოვახერხეთ ის, რომ მეცნიერების დიდი ჯგუფი შევკრიბეთ და მათთან ერთად დავიწყეთ მუშაობა ამ საჭირბოროტო საკითხზე. ეს მართლაც სერიოზული საკითხია, რომელსაც ნამდვილად სჭირდება ყურადღების მიქცევა.. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მიგვემართა ბატონი პრეზიდენტისთვის,. რაც შეეხება გარემოს დაცვის სამინისტროს, ვფიქრობ, რომ მათ უფრო მოიცილეს თავიდან ეს საკითხი, ვიდრე განიხილეს. სამინისტრო გვეუბნება, რომ თურმე არსებობს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებულება, რომლითაც კანცეროგენული ნივთიერებების შემოტანა ქვეყანაში აკრძალული ყოფილა, წერილში მითითებული ბრძანების ნომრებით თუ ვიმსჯელებთ, ეს ბრძანებები დიდი ხანია შეჩერებულია ისევ ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებებით. მე ვფიქრობ, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო ან არ არის საქმის კურსში და ან კიდევ არაფერი არ იცის. ეს პასუხი არ არის. მე პირადად მრცხვენია იმ მეცნიერების წინაშე ასეთი არაკომპეტენტური პასუხის გამო, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტრომ გამოგვიგზავნა. მე ვერანაირი პასუხი ვერ ვნახე მათ მიერ გამოგზავნილ პასუხში. დაინტერესების შემთხვევაში შეეძლო გარემოს დაცვის სამინისტროს მოეწვია ეს მეცნიერები და დეტალურად გაცნობოდნენ ამ პრობლემას, მაგრამ მათი აზრით, თურმე საქართველოში აზბესტის შემცველო პროდუქცია არ არსებობს, რაც ასე არ არის და ჩვენ ამის დადასტურება შეგვიძლი, – აცხადებს იობაშვილი.

ნ.მახვილაძის სახელობის შრომის, მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის რუსუდან ჯავახაძის განცხადებით, შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციით დასტურდება, რომ აზბესტისშემცველი პროდუქციის შემოტანა შეზღუდული არ არის.

- ჩვენმა ინსტიტუტმა 2011 წელს მიმართა ფინანსთა სამინისტროს შეკითხვით, რათა მიგველო ინფორმაცია აზბესტშემცველი პროდუქტის იმპორტის შესახებ. მათ მიგვითითეს შემოსავლების სამსახურის საიტზე, ჩვენმა თანამშრომლებმა შემოსავლების სამსახურის საიტიდან დაიწყეს ინფორმაციის მოპოვება და ოქტომბრის თვის ჩათვლით ჩვენ მოვიპოვეთ ეს ინფორმაცია, სადაც ნათლად ჩანს, რომ საქართველოში შემოდის სხვადასხვა აზბესტშემცველი პროდუქტი. ანუ იმპორტი არ არის შეზღუდული, – აცხადებს რუსუდან ჯავახაძე.

რაც შეეხება ჯანდაცვის სამინისტროს, ეს არ არის პირველი პრობლემა, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს ინტერესთა სფეროს მიღმა დარჩენილა. ამიტომაც ჯანდაცვის სამინისტროს გულგრილობასა და უნიათობაზე დროის ხარჯვაც არ ღირს. როგორც წესი, ნებისმიერი სახელმწიფო სტრუქტურის ქმედუუნარობა ორი რამითაა განპირობებული, როდესაც საქმე გვაქვს არაპროფესიონალიზმთან და მეორე, გულგრილი დამოკიდებულება დაკისრებული მოვალეობისადმი, რასთან გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე, ეს უკვე მკითხველის გადასაწყვეტია.

# ნანა დევდარიანი: პოლიტიკური ძალები ივანიშვილმაც ჩარეცხა

შორენა გონგლაძე

### ინტერვიუ ნანა დევდარიანთან

- ქალბატონო ნანა, არის დიდი შანსი, რომ შესაძლოა არჩევნები ჩატარდეს გაზაფხულზე, რამდენად შედის ვადის გადმოწევა ხელისუფლების ინტერესებში?

- ჩვენმა ხელისუფლებამ არჩევნების დანიშვნის საკითხი აქცია პოლიტიკური ტექნოლოგიების საგნად. არც ერთი არჩევნები, რომელიც 2003 წლის შემდეგ ჩატარდა, არ იყო ჩატარებული ვადით, ყველა არჩევნები იყო მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. ახლა არჩევნების ჩატარებას არ ჩქარობენ იმიტომ, რომ რაც დრო გადის, ივანიშვილის რეიტინგი ეცემა. თუ შეატყვეს, რომ დაიწყო გამოცოცხლება და ამუშავდა პოლიტიკური სტრუქტურა, მაშინ დაჩქარებულად ჩაატარებენ. არ გაუჭირდება სააკაშვილს, რომ გამოვიდეს და დაასაბუთოს, რომ კი უნდოდა შემოდგომაზე ჩატარება, მაგრამ გაითვალისწინა საზოგადოების აზრი, არასამთავრობო ორგანიზაციების აზრი და ასე შემდეგ. ხელისულების ინტერესებში ამ ეტაპზე არ შედის არჩევნების ვადაზე ადრე ჩატარება.

- თუნდაც შემოდგომაზე, რამდენად იქნება მომზადებული არჩევნებისთვის ოპოზიცია?

***– ამ დინამიკით, რასაც ჩვენ ოქტომბრიდან ვუყურებთ, ოპოზიცია აბსოლუტურად არ არის მზად. ეს არ ნიშნავს იმას, რომ შეიძლება ჩვენ ერთ დღეს მობილიზაცია გამოვაცხადოთ და დაიწყოს აქტიურად მუშაობა, აქ ლაპარაკია ხელისუფლების შეცვლაზე, ლაპარაკია პარლამენტში უმრავლესობით მოსვლაზე, თორემ რაღაც ადგილებს, სულ რომ არ გაინძრეს ბიძინა ივანიშვილი, გარკვეულ ადგილებს ის ისედაც აიღებს თავისი პიროვნებიდან გამომდინარე.***



- საუბარია ასევე მესამე პოლიტიკური ცენტრის შექმნაზეც,......

- რჩება ამომრჩევლის ძალიან ბევრი კატეგორია, რომელსაც არც სააკაშვილი მოსწონს და არც ივანიშვილის მეგობრები, რომლებისთვისაც ძალიან ძნელია გადალახოს ივანიშვილთან კოალიციაში მყოფი ადამიანებისადმი ანტიპათია. ამიტომ მათთვის ასეთი მესამე ძალა არის გამოსავალი. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ თითქოს საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტს თურმე ნატოში შესვლის გარდა არაფერი აწუხებს, ეს არის მითი, მოგონილი ლეგენდა. სინამდვილეში არის ადამიანების კატეგორია, რომელიც დღეს თუ ცოცხალია, ეს იმიტომ არის ცოცხალი, რომ რუსეთში წასული ოჯახის წევრი ან ნათესავი ფულს უგზავნის, ეს არის ის ფული, რომლითაც საქართველოში სული უდგას ძალიან ბევრ ადამიანს. მათთვის ნატო მომხიბვლელი სულაც არ არის. ამიტომ მესამე ძალის გამოჩენა რეალურად იქნება ადამიანებისათვის არჩევანის საშუალება.

– მაგრამ მთავარი საკითხია, შეძლებს თუ არა ივანიშვილის ინტერესებსმიღმა დარჩენილი ოპოზიცია გაერთიანებას?

– პირველ რიგში ყველა გაერთიანებას სჭირდება ამბიციების დათმობა. იმიტომ, რომ თუ ამბიციებს არ დათმობ., ვერანაირ გაერთიანებას ვერ შექმნი. მე ვთვლი, რომ პარტიებს უკვე ამბიციების დათმობის მეტი მზადყოფნა ექნებათ, იმიტომ, რომ გამოვიდა ისე, გარკვეული პოლიტიკური ძალები სააკაშვილმაც ჩარეცხა და ივანიშვილმაც და ჩარეცხილის მდგომარეობაში ყოფნა არც ერთ პოლიტიკურ ძალას და ლიდერს არ უნდა. ანუ ისინი დგანან იმ აუცილებლობის წინაშე, რომ მოახდინონ კონსოლიდაცია.

# ნინო ანანიაშვილი შემოქმედებით იუბილეს ზეიმობს

ეკა ირემაშვილი

ქართველი პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილი სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილეს ზეიმობს. ამ ფაქტთან დაკავშირებით 14-დან 18 მარტის ჩათვლით საიუბილეო ღონისძიებები გაიმართება.

სადღესასწაულო ღონისძიებების დაწყებამდე, პრიმა ბალერინა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ჟურნალისტებს შეხვდა, სადაც დაწვრილებით ისაუბრა იმ პროგრამაზე, რომელიც მისი იუბილეს კვირეულში შედგება. პრესკონფერენციას ასევე ესწრებოდნენ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მმართველი დავით საყვარელიძე, ქორეოგრაფები ალექსეი ფადეეჩევი და ტეეტ კასკი, დიზაინერი ნინო ჩუბინიშვილი, „ტრიო პერტეს" წევრები და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა.

ნინო ანანიაშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები 14 მარტს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიხსნება, სადაც მოეწყობა პრიმა ბალერინას სასცენო კოსტიუმებისა და აქსესუარების გამოფენა. სამ ათეულ წელზე მეტი სცენაზე, ასზე მეტი პარტია და შესაბამისად ამდენივე კოსტიუმი – ნინო ანანიაშვილის სასცენო კოსტიუმების ექსპოზიციას დიზაინერი ნინო ჩუბინიშვილი წარმოადგენს.

16 მარტს რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში წარმოდგენილი იქნება ერთმოქმედებიანი ბალეტები. საბალეტო დასი მაყურებელს შესთავაზებს ესტონელი ქორეოგრაფის ტეეტ კასკის ახალი ერთმოქმედებიანი ბალეტის „თამპოპოს" პრემიერას, რომელშიც მთავარ პარტიას, საბალეტო დასის სოლისტებთან ერთად ნინო ანანიაშვილი შეასრულებს. სპექტაკლში ასევე მონაწილეობს „ტრიო პერტე" – თეა ჭკუასელის (ფორტეპიანო), ლელა მჭედლიძის (ვიოლინო) და გიორგი ჯორჯაძის (ჩელო) შემადგენლობით. „თამპოპოს" კოსტიუმების მხატვრობაზე დიზაინერმა ნინო ჩუბინიშვილმა იმუშავა. საიუბილეო საღამოს პროგრამაშია ასევე ფრედერიკ ეშტონის ბალეტი „მარგარიტა და არმანი" და იური პოსოხოვის მიერ ქართულ მელოდიებზე შექმნილი ბალეტი „საგალობელი".

17 მარტს „თბილისი მარიოტში" გაიმართება ფოტოალბომის „ნინო ანანიაშვილი" პრეზენტაცია, რომელშიც ასახულია პრიმა-ბალერინას შემოქმედებითი მოღვაწეობის ოცდაათწლიანი გზა. წიგნი ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა.

ნინო ანანიაშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეები კი დასრულდება 18 მარტს თბილისის საკონცერტო დარბაზში, მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავების გალა-კონცერტით, რომელშიც ნინო ანანიაშვილთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ამერიკის ბალეტის თეატრის, მოსკოვის დიდი თეატრის, ესპანეთის, ჩინეთის, ინგლისის ცნობილი საბალეტო დასების სოლისტები. მათგან ბევრი სხვადასხვა



დროს პარტნიორობას უწევდა პრიმა-ბალერინას. გალა-კონცერტში ასევე მონაწილეობს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი და სიმფონიური ორკესტრი. გალა-კონცერტს მაესტრო ჯანლუკა მარჩიანო უდირიჟოროებს.

ნინო ანანიაშვილს სცენაზე დგომის 10 წლის იუბილე გრანდიოზული ღონისძიებით მიულოცეს იაპონიაში, 20 წლის იუბილე კი დიდმა თეატრმა აღნიშნა. მაშინ ქართველ ბალერინას ტრავმა აწუხებდა, ამიტომ ცეკვა ვერ შეძლო. ახლა ნინო ანანიაშვილის სცენაზე დგომის 30 წლისთავთან დაკავშირებით, საიუბილეო ღონისძიებები მის სამშობლოში – საქართველოში ტარდება, ამიტომ პრიმა ბალერინა უწყვეტ რეპეტიციებს გადის და მაყურებლის წინაშე მაქსიმალურად დაიხარჯება. საიუბილეო კონცერტებზე იუბილარი ბალერინა ბევრ სტუმარს, კრიტიკოსს, მოცეკვავეს, ძველ და დღევანდელ პარტნიორებს ელოდება.

ნინო ანანიაშვილმა მონაწილეობა მიიღო „იაპონიის თვის" ეგიდით დაგეგმილ სპექტაკლშიც, რომელსაც გასულ თვეში გრიბოედოვის თეატრმა უმასპინძლა. სპეციალური საღამო იაპონიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების მე-20 წლისთავს მიეძღვნა. იაპონიის კულტურის თვე „იაპონური გაზაფხული" – ასე ეწოდებოდა გალა-კონცერტს და მასში ქართველ მოცეკვავეებთან ერთად იაპონელი ბალერინაც იღებდა მონაწილეობას. სამგანყოფილებიან პროგრამაში წარმოდგენილი იყო მეორე მოქმედება ადოლფ ადანის ბალეტიდან „ჟიზელი" – სოლისტები შინობუ ტაკიტა, სერგეი სიდორსკი. მეორე განყოფილებაში მაყურებელმა იხილა ბალეტი „მანიერიზმის მშვენიერებანი" (მუსიკა კუპერინის პიესები კლავესინისათვის. გრიშინის გაორკესტრება). ერთმოქმედებიანი ბალეტი კი ნინო ანანიაშვილმა, ლალი კანდელაკმა, ვასილ ახმეტელმა და უილიამ პრატიმ იცეკვეს. მესამე განყოფილებაში მაყურებელმა იხილა ადაჟიო რიმსკი-კორსაკოვის ბალეტიდან „შეჰერეზადა" – სოლისტები შინობუ ტაკიტა და სერგეი სიდორსკი. პა დე დე ჰელსტედისა და პაულის ბალეტიდან „ყვავილების ფესტივალი ჯენცანოში" – სოლისტები ნინო მათიაშვილი და გიორგი მშვენიერაძე. პა დე სკლიავი ადოლფ ადანის ბალეტიდან „კორსარი" – სოლისტები ნუცა ჩეკურაშვილი და უილიამ სანტოსი. სალავიოვ-სედოი. გოპაკი – სოლისტი გიორგი მშვენიერაძე. სენ-სანსი. მომაკვდავი გედი – სოლისტი შინობუ ტაკიტა. გრანდ პა ლუდვიგ მინკუსის ბალეტიდან „დონ კიხოტი".

2012 წელი ქართველი პრიმაბალერინასთვის საკმაოდ საინტერესოდ დაიწყო. რუსთაველის თეატრში ნინო ანანიაშვილმა სპექტაკლში „ქეთო და კოტე" იცეკვა. მან საქველმოქმედო ღონისძიება ჩაატარა, რომელიც პატარა ბავშვის სიცოცხლის გადასარჩენად შედგა. მას სასწრაფო ოპერაცია სჭირდებოდა და ნინო ანანიაშვილის სურვილი იყო, მისთვის დახმარების ხელი გაეწოდებინა. პრიმაბალერინას ტრადიცია აქვს – ის ყოველწლიურად ატარებს საქველმოქმედო კონცერტს, რომ იმ ადამიანს დაეხმაროს, რომელსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.

ნინო ანანიაშვილი პორტუგალიაში „დონ კიხოტის" მისეულ ვერსიასაც დგამს. სცენაზე 30 წლიანი მოღვაწეობისადმი მიძღვნილი კონცერტების შემდეგ საბალეტო დასი გასტროლზე მინსკში გაემგზავრება, სადაც ორ წარმოდგენას იცეკვებს, მინსკიდან კი ქართული საბალეტო ხელოვნება უკვე კიევში იქნება წარმოდგენილი. მოცეკვავეების საგასტროლო გრაფიკი საკმაოდ დატვირთულია. მაისში ნინო ანანიაშვილს ჩინეთში ელოდებიან, სადაც „მაკნატუნას" დადგამს. ალბათ საზოგადოებისთვის ნაკლებად არის ცნობილი, რომ ნინო ანანიაშვილი გასულ წელს ჩინეთის აკადემიის პროფესორი გახდა, ამიტომ იქ ჩასვლა მოცეკვავეს ყოველ წელს უწევს. პარალელურად, თბილისს ამერიკელი ქორეოგრაფი გომესი ეწვევა, რომელიც საბალეტო დასთან ერთად ახალ სპექტაკლზე იმუშავებს და მისი პრემიერა გაზაფხულის ბოლოს შედგება. ქართული საბალეტო დასი კონკურსშიც ჩაერთვება – ფინეთში ბალეტის კონკურსი გაიმართება, სადაც ქართული საბალეტო სკოლაც იქნება წარმოდგენილი. თეატრალურ სეზონს ბალეტის მოცეკვავეები ივნისში დახურავენ და ერთთვიან გასტროლებზე იაპონიაში გაემგზავრებიან.

**ნინო ანანიაშვილი, ბალერინა:**

– სასცენო მოღვაწეობის იუბილეებს ყოველთვის აღვნიშნავდი. სცენაზე დგომის 10 წლის იუბილე გრანდიოზული ღონისძიებით მომილოცეს იაპონიაში, 20 წლის იუბილე კი დიდმა თეატრმა აღნიშნა. მაშინ ტრავმა მაწუხებდა, ამიტომ ცეკვა ვერ შევძელი. სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილეს ჩემს სამშობლოში აღვნიშნავ, ამიტომაც ამ დღეებისთვის განსაკუთრებულად ვემზადები.

*– ბევრია 30 წელი?*

– საბალეტო სივრცეში 30 წელი ნამდვილად ბევრია. როცა სამი ათეული წლის მანძილზე დგახარ სცენაზე, გაცვია პუანტეები და გამოდიხარ მაყურებლის წინაშე, ეს მართლაც დიდი ვადაა. მინდა ვაჩვენო ჩვენს საზოგადოებას, რა გავაკეთე ამ წლების განმავლობაში, ამიტომ ყველას ველოდები ჩემს საიუბილეო ღონისძიებებზე.

*– ვის ელოდებით იუბილეზე?*

– მსოფლიო საბალეტო სცენების ბევრი ვარსკვლავი ჩამოდის, მათ შორის არიან ქართველი მოცეკვავეებიც. ძალიან მინდოდა ახალგაზრდა ქართველი მოცეკვავეებიც ჩაგვერთო ამ ღონისძიებებში და ეს მოხერხდა. დიდხანს ვოცნებობდი, მსგავსი ღონისძიება ჩაგვეტარებინა საქართველოში, რაღაცნაირად შემეგროვებინა ყველა ის საბალეტო სცენის ვარსკვლავი, რომელიც დღეს ბრწყინავს მსოფლიო ბალეტში და ერთად გვეცეკვა. ამაში ხელს ყოველთვის მოცეკვავეების გადატვირთული გრაფიკი მიშლიდა და მიჭირდა ყველას მოგროვება. ახლა კი ეს მაქსიმალურად მოვახერხე.

*– ყველა მოცეკვავე ჩამოგყავთ, ვინც გსურდათ?*

– მხოლოდ ორი ვარსკვლავი დაგვაკლდება – ვერ ჩამოდის იგორ ზელენსკი და ჩვენი ირმა ნიორაძე, რომელსაც ტრავმა აწუხებს.

**დავით საყვარელიძე, ოპერისა და ბალეტის თეატრის ხელმძღვანელი:**

– ჩვენ გადავწყვიტეთ ნინო ანანიაშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისადმი მიძღვნილი იუბილე მაქსიმალურად მრავალფეროვანი და საინტერესო ყოფილიყო, სწორედ ამიტომ, საბალეტო წარმოდგენების გარდა, ერთი კვირის განმავლობაში საზოგადოება სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს დაესწრება. ეს იქნება პრიმა ბალერინას კოსტიუმებისა და აქსესუარების გამოფენა, ფოტოალბომის პრეზენტაცია და არაჩვეულებრივი საბალეტო სპექტაკლების წარმოდგენა.

**ანი ლაღიძე, თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის უფროსის მოადგილე:**

– ჩვენი ცენტრისთვის დიდი პატივია მსოფლიოში აღიარებული ქართველი პრიმა ბალერინას ნინო ანანიაშვილის სცენაზე მოღვაწეობის 30 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების მხარდაჭერა. სასიხარულოა, რომ ნინო ანანიაშვილი თავად გაუწევს პარტნიორობას მსოფლიოს საბალეტო სფეროს წამყვან ვარსკვლავებს.

**ნიკოლოზ რურუა, კულტურის მინისტრი:**

– ნინო ანანიაშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და თბილისის მერიის მხარდაჭერით იმართება. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა დაგეგმილი, რომელიც ჩვენს საამაყო მოცეკვავეს კიდევ უფრო მრავალფეროვანი დატვირთვით წარმოადგენს. კულტურის სამინისტრო მოხარულია, რომ ქალბატონი ნინოს საიუბილეო ღონისძიებების აქტიური მხარდამჭერია. საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში შედგება ერთმოქმედებიანი ბალეტის წარმოდგენა, ქალბატონი ნინოს ბრწყინვალე კოსტიუმები საჯარო ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გამოიფინება, წარმოდგენილი იქნება 100-ზე მეტი კოსტიუმი, ხოლო 18 მარტს უკვე ჩატარდება დასკვნითი გალა კონცერტი, რომელშიც სპეციალურად ამ მნიშვნელოვანი თარიღისთვის საქართველოში ჩამოსული 100-ზე მეტი სტუმარი იცეკვებს.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).






იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ᲪᲤ,ᲤᲧᲠᲯ ᲞᲢᲠᲓᲑᲞᲑᲜᲢ,ᲑᲜ

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 fy lfhtrjs5 vfusb7 ]tjctkb7 ,bkfbyb 2 &)) ^)&9 f[fkb mctkt,b 2 &)) ^)*9 cbkmytnb 2 ^)* ^)* ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8
[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## უფასო[ფლტ,ტ,ბ

● გასტროენტეროლოგიური პროგრამა „მედიგარდში". გასტროენტეროლოგიურ პროგრამაში გთავაზობთ კუჭ-ნაწლავის ექოსკოპიურ გამოკვლევას ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, საყლაპავის თიაქარი, ნაწლავის დივერტიკულოზი, წვრილი და მსხვილი ნაწლავის სხვა დაავადებები, მათ შორის აპენდიციტი. გამოკვლევის ეს მეთოდი წარმოადგენს კუჭ-ნაწლავის რენტგენოლოგიური და გასტროსკოპიული გამოკვლევის ალტერნატივას. გასტროენტეროლოგიურ პროგრამაში ასევე შედის საჭმლის მომნელებელი სისტემის ქრონიკული დაავადებების (გასტრიტი, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ქრონიკული ქოლეცისტოპანკრეატიტი, ქრონიკული ჰეპატიტი, ქრონიკული ენტეროკოლიტი და დისბაქტერიოზი) მკურნალობა ფიტოთერაპიის და ნატუროპათიის ტრადიციული მეთოდებით, რაც ეფექტურად გააუმჯობესებს თქვენს ჯანმრთელობას. მისამართი: ფალიაშვილის ქ. №17. ტელ:. 2-25-20-50; 599 572508. 11-დან 17 საათამდე.

● მოგიხსნით ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ოჯახურ კონფლიქტებს, დეპრესიას, ლოთობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას. ტელ: 599-49-84-23.

● იყიდება ან იცვლება საკუთარი სახლი საერთო ფართით 110 კვ.მ. 1,5 ან 2-ოთახიან ბინაზე შესაბამისი თანხის დამატებით. ფასი 55.000 დოლარი. მისამართი: ნუცუბიძის I მ/რ, სახლი №5ა. ტელ: 599-41-52-29; 568-10-65-48; 232-52-29; 231-48-72.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 2000კვ. მ, შემოსაზღვრული, სარწყავი წყლით. ფასი: 1 კვ.მ – 2 დოლარი. ტელ:. 0790-90-32-96, 253-15-87, 568 -65-74-86.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ლომთათიძე — პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

# თემურ ქეცბაია: „ყენიას და ჯანოს დიდი იმედი გვაქვს“

საქართველოს ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის თემურ ქეცბაიას ინტერვიუ რუსულ გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ გამოქვეყნდა. ქეცბაია, კვიპროსული ფეხბურთის გარდა ჩვენს ნაკრებზეც ვრცლად საუბრობს.



***— 10-15 წლის წინათ ვინმეს რომ ეთქვა, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში კვიპროსული გუნდი ითამაშებსო, გიჟად შერაცხავდნენ.***

— მაშინ ჯგუფურ ეტაპზე კვიპროსული გუნდის მოხვედრა არარეალური ჩანდა. თუმცა, აპოელ-ი რვა უძლიერეს გუნდში დამსახურებულად მოხვდა.

***— ადრე კვიპროსი ფეხბურთთან არ ასოცირდებოდა, რა არის ასეთი სწრაფი აღზევების მიზეზი?***

— მას მერე, რაც კვიპროსი ევროკავშირის წევრი გახდა, ქვეყანაში ბევრი უცხოელი ჩამოვიდა, ადრე ადგილობრივი კლუბების განაცხადში მხოლოდ 5 ლეგიონერის შეყვანა შეიძლებოდა, ახლა თითოეულ გუნდში 16-18 უცხოელი ფეხბურთელია. გარდა ამისა, უეფამ პატარა ქვეყნებს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის ჩატარების სისტემის შეცვლით მათ ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა გაუიოლა და საამისოდ კვიპროსის ჩემპიონს ინგლისისა და ესპანეთის კლუბებთან შეხვედრა აღარ უწევს. კვიპროსის საფეხბურთო ამბიცია იზრდება და ქვეყანაში უკვე ალაპარაკდნენ, რომ დროა, ჩემპიონთა ლიგაში ორი კლუბი ჰყავდეთ. ამისთვის, კოეფიციენტების ცხრილში შვეიცარიასა და დანიას უნდა გაუსწრონ. ეს ოცნება კი არა, რეალური ამოცანაა. დამეთანხმებით, ასეთი პატარა ქვეყნისთვის ეს საუცხოო რამაა.

***— ვიკიპედიას მონაცემებით, კვიპროსის მოსახლეობა 793.963 ადამიანია. თუმცა, საფეხბურთო თვალსაზრისით კვიპროსი ამჟამად უფრო წინაა, ვიდრე ჩეხეთი, შოტლანდია, პოლონეთი... ეს პარადოქსია?***

— საქმე ისაა, რომ თქვენ მიერ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ფეხბურთელები ცდილობენ, რაც შეიძლება მალე წავიდნენ ინგლისში, გერმანიაში, იმავე კვიპროსში. კვიპროსიდან კი არავინ მიდის — პირიქით, თუ რომელიმე ბიჭი ჩეხეთის ჩემპიონატში გამოჩნდება, მაშინვე მიყავს კვიპროსულ კლუბს. ადგილობრივ ფეხბურთში ეკონომიკური სიტუაცია გაუმჯობესდა, სასელექციო სამუშაოს დონე გაიზარდა. ამასთანავე, კვიპროსი საცხოვრებლად მოსახერხებელი ქვეყანაა — აქ საუცხოო კლიმატი და ზღვაა.

***— თქვით, რომ კარგი ფეხბურთელები კვიპროსში წელიწადში 100.000-150.000 ევროს გამოიმუშავებენ. რამდენის გადახდა შეუძლიათ გუნდებს საჭირო ფეხბურთელის ტრანსფერისთვის?***

— აღსანიშნავია, რომ თუ აპოელ-ს არ ჩავთვლით, სხვა გუნდები ფინანსურ სიძნელეებს განიცდიან, ვალები აქვთ, ისევე, როგორც მთელ ევროპაში. თუმცა, სამ-ოთხ კლუბს შეუძლია, ფეხბურთელში 250.000-300.000 გადაიხადოს.

***— უცხოელი ფეხბურთელების თემას დავუბრუნდეთ. „ლიონთან“ მოგებულ ისტორიულ მატჩში აპოელ-ის რიგებში მხოლოდ ორმა კვიპროსელმა ითამაშა. იგივე სიტუაცია იყო თქვენს მიერ გაწვრთნილ „ანორთოსისშიც“.***

— თითოეული კვიპროსული კლუბის განაცხადში აუცილებლად რვა ადგილობრივი ფეხბურთელი უნდა იყოს. თუ მათგან ორი-სამი სასტარტოში მოხვდა, უკვე კარგი მიღწევაა. თუ გახსოვთ, ჩემს „ანორთოსისში“ ლეგიონერები პორტუგალიიდან, ბრაზილიიდან, არგენტინიდან, საფრანგეთიდან და გერმანიიდან იყვნენ... მათ გარეშე კვიპროსული კლუბებისთვის თავის წარმოჩენა ძნელი იქნება.

***— გულშემატკივრები არ ბრაზდებიან, რომ მათ საყვარელ კლუბებში ამინდს უცხოელები ქმნიან და არა ადგილობრივი ფეხბურთელები?***

— ასეთი პრობლემა მართლაც არსებობს. ყველას როდი ესმის, რომ სასტარტოში საუკეთესოები ხვდებიან. პასპორტში არავინ იხედება, მაგრამ მსგავსი სიტუაცია ნაკრებს პრობლემებს უქმნის. მთელ ჩემპიონატში 10 ფეხბურთელს თუ შეაგროვებ, რომელიც ეროვნულ გუნდში თამაშის ღირსია. თუმცა, ეს კვიპროსის ფეხბურთის ფედერაციის პრობლემაა.

***— აღსანიშნავია, რომ აპოელ-ი და თქვენი „ანორთოსისი“, პირველყოვლისა, კოლექტიურ თამაშთან ასოცირდებიან და არა კონკრეტულად რომელიმე ფეხბურთელთან. 2008-2009 წლების სეზონში ჩემპიონთა ლიგაში საუცხოო გამოსვლის შემდეგ, „ანორთოსისიდან“ რომელიმე მოთამაშე სერიოზული საფეხბურთო ჩემპიონატის კლუბმა თუ იყიდა?***

— ერთი ფეხბურთელი წავიდა საბერძნეთის აეკ-ში. საერთოდ, კვიპროსში პერსპექტიული ფეხბურთელები არ ჩამოდიან, არამედ ისინი, რომელთა საშუალო ასაკი დაახლოებით 30 წელია და ამიტომ, აქცენტი კოლექტიურ ფეხბურთზე კეთდება. თუმცა, კვიპროსული ფეხბურთის ბოლოდროინდელი წარმატებებიდან გამომდინარე, სიტუაცია უკეთესობისკენ უნდა შეიცვალოს.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ფაჩულიამ სეზონის მეექვსე დუბლი საკრამენტოში გაიფორმა



ზაზა ფაჩულიამ მორიგი, მიმდინარე სეზონში რიგით მეექვსე ორმაგი დუბლი გაიფორმა. ქართველი ცენტრი „ატლანტას“ მნიშვნელოვან მატჩში შეეშველა — ამერიკელი ჯორჯიელები საკრამენტოში „კინგსს“ შეხვდნენ და დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 106:99 გაიმარჯვეს.

ფაჩულია სასტარტო ხუთეულში გახლდათ და მოედანზე მთლიანობაში 30 წუთი იმყოფებოდა. ზაზამ 6-დამ 4 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. მას საბოლოოდ 10 ქულა, 13 მოხსნა და 1 პასი დაუგროვდა. ქართველი ცენტრი მატჩის საუკეთესო მომხსნელი გახდა და, ალაბთ, ცოტა მეტსაც შეძლებდა 6 პერსონალურის გამო მოედნი ნაადრევად რომ არ დაეტოვებია.

შეხვედრის ბედი მესამე მეოთხედმა გადაწყვიტა, რომელიც ატლანტელებმა 7 ქულის სხვაობით მოიგეს, დანარჩენ პერიოდებში კი თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა. ატლანტელთაგან 28 ქულით საუკეთსო ჯოშ სმიტი გახდა, საკრამენტოელთაგან კი დემარკუს ქუზენსმა 28 ქულა და 12 მოხსნა მოაგროვა.

„ატლანტა“ ამ გამარჯვებით „ინდიანას“ დაეწია და ახლა ამ გუნდთან ერთად აღმოსავლეთ კონფერენციაში 5-6 ადგილებს იყოფს.

მომდევნო მატჩი ფაჩულიას გუნდს 14 მარტს დენვერში ელის.

# დავით მარსაგიშვილი ევროპის ჩემპიონია

